



არსენალი

არსენალი
გინეა ლიტონი

№ 11 (80), 29 მაისი - 11 ივნისი, 2009. „კვირის პალიტრა“, სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

„კავკას-2009“
სახლი სოფრთხის
მოლოდინები...

5 წელი
„არსენალთან“
ერთად

1425
2009



ვინ დასერირობს
პრეზიდენტის
კანცელარიაში -
ჯაგუშები თუ
მორჩენებები

სულქვევა ნაღები



**რეპორაჟი
NATO-ს
საგზაო
სწავლებელიდან**

7



**„კავკაზ-2009“
კალის
დემონსტრირების
ქილევ ერთი
გაგალითი**

16



**5 წელი
„არსენალთან“
ერთად**

9

**საზღვაო ნაღები
თავდაცვის უზუჟიან
საუპაუგად რჩება**

48



ანგისნაიპერები

38



**ოგაგა
უზუპაუგანერდ
ღარგა...**

20



სარჩევი

- 4 **ქალაქი** ახალი ამბები
სწავლება
- 7 რეპორტაჟი **NATO**-ს სამხედრო სწავლებებიდან
ანოთაცია
- 8 საქართველოში სამხედრო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია დაფუძნდა
თარგი
- 9 5 წელი „არსენალთან“ ერთად
საუბრა
- 11 ვინ დასერიწობს პრეზიდენტის კანცელარიაში: ჯამბუჯი თუ მოჩვენებები?
სიახლე
- 14 უპილოტო საფრენი აპარატები სტელსის ტექნოლოგიით
15 უახლესი გერმანული კორპუსები
საფრთხე
- 16 „კავკასი-2009“ – ძალის დემონსტრირების კიდევ ერთი მაგალითი
რეპორტი
- 18 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...
პროგნოზი
- 20 ობამა უშველმფეროდ დარჩა
ინოვაციური ტექნოლოგიები
- 22 საჰაერო რადარები
საუბრა
- 32 ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ოპერაციები კორეაში
პროფსინონალიზმი
- 38 ანტი-საჰაერო რადარები
ქალი და ჯარი
- 39 ქალი დაბადებული ჯარისკაცად თანამედროვე მათეზიტი
შემთხვევა
- 42 საზღვაო ამბები
გაზრდა
- 44 ჩეხეთის ავიაცია
საზღვაო ინტელი
- 48 საზღვაო ნაღები თავდაცვის ეფექტიან საშუალებად რჩება
კრუსორი
- 52 არსენალის ვიდეო
არსენალის ინტელი
- 53 მძაფრისეფექტიანი ფილმების გმირი – სწრაფმსროლელი **Ingram**

კალაქორის სვეტი

„არსენალის“ ამ სათუთილო ნომრის გაცნობა ჩვენს ერთგულ მკითხველს ფინისში მოუწევს, მაშინ, როდესაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სწავლებები საქართველოში დასრულდებიან. იქნება, სამაგიეროდ ჩრდილო კავკასიაში დაიწყება ყველაზე ფართომასშტაბიანი (საბჭოთა პერიოდის შემდეგ) რუსული სწავლებები.

გასულ წელს, ალიანსის სწავლების დამთავრების შემდეგ, ერთ კვირაში რუსეთში სამხედრო სწავლებებზე გაყვანილი დანაყოფები და საბრძოლო ტანკები დისლოკაციის ადგილზე დაბრუნების ნაცვლად, საქართველოს შემოუსია.

იმედს გვაქვს, ამჯერად გასული წლის ტრაგედია აღარ განმეორდება, თუმცა სიფრთხილეს თავი არ სტყვი...“

*ირაკლი ალადაშვილი
გიორგი შორაშოლიანი*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აუკრძალელია
გადაცემულია დასაბეჭდად
25.05.2009

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარედაქციო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenal@kvispalitra.com
ქრენალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ამერიკულ მოვალის ყუმბარსატყორცს სხელ ნერტილუბში გამოსდიან



ავტომატურ ყუმბარსატყორცს XM25-ს, რომელსაც წინაღობებით დაცული მიზნების განადგურება შეუძლია, ამა წლის ზაფხულს საბრძოლო პირობებში გამოცდიან. ყუმბარსატყორცს XM25-ს ერთ-ერთი ქვედანაყოფი მიიღებს, რათა შეაფასოს მისი შესაძლებლობები ბრძოლის ველზე.

სამხედრო ჩინოსნები ჯერჯერობით არ ახმაურობენ, კრძიდ, სად გაიგზავნება ყუმბარსატყორცნი გამოსაცდელად — ერაყში თუ ავღანეთში. გარდა ამისა, უცნობია ამ შეიარაღების ზუსტი რაოდენობა, რომლითაც უახლოეს მომავალში ამერიკული საბრძოლო ქვედანაყოფების უზრუნველყოფა დაეკმეფი.

შეგახსენებთ, რომ 12 აპრილს პენტაგონი ახალი ყუმბარსატყორცის გამოცდის აპირებდა. ვარისკაცებისთვის უნდა დაერიგებინათ ამ შეიარაღების

ხუთი კომპლექტი, მაგრამ ცხელ წერტილებში მათ გაგზავნაზე, სადაც აშშ-ის სამხედრო კონტინგენტია დისლოცირებული, ლაპარაკი არ ყოფილა აშშ-ის არმიამ ჯერჯერობით უნდა შეიქმნას ამ ახალი იარაღის გამოყენების ტაქტიკა და ტექნიკა.

XM 125, რომელსაც ხშირად მოძველის ყუმბარსატყორცსაც უწოდებენ, შეიძლება გამოიყენონ იმ დაფარული მიზნების გასანადგურებლად, რომელიც ნეიტრალიზება ჩვეულებრივი იარაღით შეუძლებელია. ყუმბარა XM25 შეიძლება აფეთქდეს მოცემულ წერტილში — მიზნის თავზე ან მის ახლოს. შეიარაღების კონსტრუქციაში გამოყენებულია ლაზერული მანძილმზომები და სენსორები, რომლებიც 25-მილიმეტრიან საბრძოლო მარაგს დეტონაციის წერტილსაც უსახავენ.

პენტაგონმა თიქრანის განსხლვა დაიდასტურა



აშშ-ის თვალდაცვის სამინისტრომ დადასტურა ინფორმაცია თიქრანის მიერ ხაშუკული სიძორის რაკეტის გამოცდის თაობაზე.

აშშ რაკეტის სიძორეს 2-2,5 ათასი კილომეტრი აუგებს. აშშ-ის თვალდაცვის მინისტრი არ აკონკრეტებს, სახელდობრ რომელი რაკეტა გაუმუშაო ირანმა და იყო თუ არა ეს ახალი მოდელი თუ მხოლოდ ძველის ახალი მოდიფიკაციაა. არც ის არის ცნობილი, გაანადგურა თუ არა რაკეტამ მიზანი.


ახალი რაკეტის გაუმუშავებ განცხადება 20 მაისს ირანის პრეზიდენტმა მამუდ აჰმადინეჯადმა გააკეთა. ირანის ლიდერის მტკიცებით, ახალი მყარსაფუთიანი რაკეტა SAJIL 2-ს შეუძლია ისრაელის ტერიტორიაზე მისვლა და მან გამოცდა წარმატებით გაიარა — დასახული მიზანი განადგურა.

იმედროულად, ირანის სახელმწიფო ტელევიზიით გადაიკა რაკეტის გაშვების კადრები, რაც ძალიან პეკვდა

SHAHAB 3-ს — ძველი მოდიფიკაციის შეიარაღებას. ამგვარად, უცნობი რჩება, რომელი რაკეტა გამოცადეს ირანელმა სამხედროებმა.

ალხანისშავია, რომ რაკეტის გამოცდა მოჰყვა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას გამოსვლას, რომლის დროსაც ის თიქრანის სანქციების გაქცევაზე დაემუქრა, თუკი ირანი უარს იტყვის ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკების განახლებაზე.

ვენეზოლის ხელმოღვაწემა ჯარისკაცი შეაქო



აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეისმა ჯარისკაც ზაქარი ბოიდი საქციელით მოიწონა, — ის თალიბებს საშინაოდ ჩაცმული, ვარდისფერ ტრუსსა და სანდლებში შეებრძოლა. პენტაგონის ხელმძღვანელი უდღანეთში მჭიდროდ ტრუსის მამაც ჯარისკაცთან შეხვედრას გვემუხს, რომ ხელი ჩამოართვას „კაცი, რომელიც თალიბებს მხოლოდ ტრუსსა და სანდლებში ებრძვის, ნამდვილი გეოკაცია“, — მიაჩნია გეისის.

იოლი ავროსადგენია, როგორც იმ-ოქმელებად უდღანელ ბოვიკებზე ვარდისფერტრუსიანი აშერიკელი ჯარისკაცის დანახვა. „ეს ფსიქოლოგიური იმის

საწარმოებელი საოცარი გამოკონებაა“, — ამბობს მინისტრი.

შეგახსენებთ, რომ 19 წლის ზაქარი ბოიდი თალიბების თავდასხმისას, დრო რომ მოეყო, მხოლოდ ჯუჯუნაფულეტი და ჩაფუტე დაიხურა და ასე იცვალა პოსტს. ვარდისფერტრუსიანი ჯარისკაცი ბრუსტერტიან ასოშიეთოდ პრეხის ფოტოგრაფმა დააფოქსირა და მისი ფოტო გაავრცელდა. თავად ბოიდი შაშობს, რომ არმიდან გარიცხავენ ამგვარი ჩაცმულობის გამო, მაგრამ რობერტ გეისმა დაარწმუნა საზოგადოებრიობა, რომ ბოიდის მოძვეალს არმიამში საფრთხე არ ექმეება.

რუსეთს კონტრაქტი რაეშალა

ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, რუსული მიგ-31 გამანადგურებელ-გზა-გადამჭრელების პარტიის მიწოდებაზე კონტრაქტი, რომელიც 2007 წელს დაიდო სირიასა და რუსეთს შორის, ჩაიშალა.

გამანადგურებლების მოდერნიზაცია პროგრამის აუთსამჭრებლო ქარხანა „სოკოლში“ მიმდინარეობდა. ქარხნის ხელმძღვანელობის თქმით, მიგ-31-ების მომზადება შეწყვედა „კონტრაქტის უქონლობის გამო“. ხელმძღვანელობა არ ადასტურებს, სახელდობრ რომელი ქვეყნისთვის იყო განკუთვნილი მოდერნიზებული



ბული მიგ-ები, მაგრამ სამხედრო ექსპერტთა აზრით, ეს სწორედ სირია იყო.

სხვა წყაროების ცნობით, სირიამ თვითმფრინავების შექენაზე უარი მიხმე ფინანსური მდგომარეობის გამო თქვა. ამ ქვეყანას ისედაც მართებს რუსეთის 3 მლრდ რუბლზე მეტი, მიუხედავად იმისა,

რომ 2005 წელს ოფიციალურმა მოსკოვმა სირიის დეკლარაციის 70% ჩამოწერა.

2007 წელს გამანადგურებელ მიგ-29 CMT-ების მიღებაზე უარი განაცხადა ალფინამაც, მაგრამ, როგორც თქვეებთან, უარს არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური სარწული ელი.

ინდოეთმა ბალისტიკური რაკეტა AGNI-II გამოსადა

ინდოელმა სამხედროებმა 2009 წლის 19 მარტს გამოცადეს საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტა AGNI-II, რომელიც საყარუდოდ ბირთვული საბრძოლო ქობინებით დაკომპლექტდება.

რაკეტა შტატ ორისის მახლობლად მდებარე მობილური გამშვები დანაგარებიდან გაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ გაოცდამ კარგად ჩაიარა, ინდოელი მეცნიერები გამოც-

დის დეტალურ ანალიზს მაინც გააკეთებენ.

ორსაფეხურიანი ბალისტიკურ რაკეტა AGNI-II-ის შეუქმლა 2500-დან 3000-მდე კმ მანძილზე მიზნის განადგურება და 1000 კგ სასარგებლო დატვირთვის ტარება.

გარდა ამისა, ინდოელ სამხედროებს აქვთ მცარე სიშორის რაკეტა AGNI-I-ც, რომლის მოქმედების სიშორე 700-800 კმ-ს შეადგენს. აშეჟამდ მიმდინარეობს მუშაობა AGNI-III-ის უფრო სრულყოფილ მოდიფიკაციაზე. მას 3500 კმ-მდე მანძილის დაფარვა შეუქმლია.

ამ ტიპის უფრო თანამედროვე რაკეტაა AGNI-V, რომელზეც უკვე მუშაობენ ინდოელი კონსტრუქტორები. მათი თქმით, რაკეტა დახალეობით 5-6 ათას კილომეტრს დაფარავს. მისი გამოცდა 2010 წლისთვის იგეგმება.



ინდოეთის არმიის მიერ AGNI-II რაკეტის გამოცდა

ჩრდილო კორეამ ატომური ბომბი გამოსადა და რაკეტები გაუშვა

25 მაისის დილა მთელი მსოფლიოსთვის შემაშფოთებელი ღოდინში გათენდა — ჩრდილო კორეის ტრიატორიაზე რიხტერის სკალით 3,58 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა, რომელიც სპეციალისტების აზრით ხელოვნურად, ატომური ბომბის მიწისქვეშა აფეთქებით იყო გამოწვეული.

გარდა ამისა, ჩრდილოკორეელმა სამხედროებმა „მიწა-ჰერის“ კლასის სამი

მართვდი რაკეტა გაუშვეს, საერაულოდ, იმ ამერიკული მშვერავი თვითმფრინავების ჩამოსაგდებად, რომლებიც მიწისქვეშა ატომური აფეთქების ეპიცენტრის მოსაძებნად გადვინდნენ.

პირველი ატომური გამოცდა ფხენიანმა 2006 წელს ჩაატარა.

ატომური ბომბების გამოცდის პარალელურად ჩრდილო კორეა ყოველწლიურად აუტობიუსებს მათ ვადამტან ბალისტიკურ

რაკეტებსაც.

ა.წ. 5 აპრილს ფხენიანმა ორბიტაზე პირველი ჩრდილოკორეული ხელოვნური თანამგზავრის გაყენის შესახებ ცნობა გაავრცელა. თუკი ეს მართლაც სრულდება სინამდვილე, მაშინ ვადამტან, მულტოკორულ ბალისტიკურ რაკეტებს უკვე შეუძლიათ აშშ-ის დასავლეთ სანაპირომდე მიღწევა.

რუსულ თვითმფრინავებს F-22-ები დაჰყვებიან



რუსული სტრატეგიული ბომბდამშენების გასაყოლად ალასკის შტატში განთავსებული აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაბაზიდან ჰაერში აფ-

რინდა მჭეოთე თაობის ორი მრავალმზინობრივი გამანადგურებელი F-22 Raptor-ი.

ბომბდამშენი Ty-95MC-ები ჩრდი-

ლოვნულეანი ოკეანისა და ალუკების კუნძულების ნეიტრალურ წყლებში საჰაერო პატრულირების ამოცანებს ასრულებდნენ. ორივე თვითმფრინავის ეკიპაჟები უორიენტრო ადგილებში ფრენის ჩვეულებს ამუშავებდნენ.

ფრენის ხანგრძლივობამ ISთ-ზე მეტი შეადგინა, ამოცანის შესრულებისას მანქანები ჰაერშივე გამართეს საწვავით საჰაერო ტანჯვებმა. ეს იყო ფრენის ყველაზე უროულესი ელემენტი.

ალსანშაუა, რომ რუსეთის სტრატეგიული ავიაცია არც ისე დღი დახია რვეულარულად ასრულებს ნეიტრალური ტერიტორიების პატრულირების სასწავლო დაგეგმვებს. ამასთან, სხვა სახელმწიფოების საზღვრები არ ირღვევა, მაგრამ მათ გასაყოლად ჰაერში არავითხელ აფრენილან NATO-ს გამანადგურებლები.

ამერიკულ PATRIOT-ს კოლონეთში განათავსებენ

2009 წლის დამლკვამდე პოლონიეთის ტერიტორიაზე განთავსდება აშშ-ის არმიის ქვედანაყოფი, ასი სამხედროს

რაიონებით, რომლებიც შეიარაღებული არიან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით PATRIOT-ებით აშშ-ს ასევე დაგეგმილი აქვს პოლონიეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ელემენტების — შორი მოქმედების რაკეტა-გზავდა-მჭერელებისა და ჩხეთში კი რადარების განთავსება.

პოლონიეთში ამერიკული ქვედანაყოფების განთავსებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას 2009 წლის ივლისში მიიღებენ. ამის შემდეგ ქვეყანაში განათავსებენ აშშ-ის არმიის 100-110 სამხედრო მოსამსახურეს და 196 რაკეტა PATRIOT-ს. საწყის ეტაპზე ამერიკელები პოლონიეთში კვარტალში ერთხელ ჩავლენ, 2012 წლიდან კი კონტინგენტი კარშავის მახლობლად მუდმივად დაბინავდება. ეს გეგმა შესრულდება აშშ-სა

და პოლონიეთის შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც 2008 წლის აგვისტოში დაიდო.

პოლონიეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგება რუსეთის უკმაყოფილებას იწვევს. აღრე ვარშაუა მზად იყო რუსეთთან ითანამშრომლა, მათ შორის NATO-ს პროგრამების ფარგლებში, რომლის პარტნიორი ოფიციალური მოსკოვიც არის, მაგრამ როგორც პოლონიელმა სამხედრო დიდნიოსანმა განაცხადა, „შპრ-შან რუსეთმა, ჩვენმა პარტნიორმა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს — საქართველოს ოკუპირება მოახდინა“. აქედან გამომდინარე, რუსეთის შესაძლო აგრესიის შემთხვევაში ვარშაუას ვაშინტონის დახმარების იმედი აქვს.



კაპოკრატი NATO-ს სამხედრო სწავლებიდან



ვაზიანის სამხედრო ბაზაში გრძელდება პროგრამა „პარტნიორობა შვედობისთვის“ ფარგლებში მამდინარე NATO-ს საერთაშორისო სამხედრო სწავლება Cooperative Longbow/Cooperative Lancer 09.

სწავლებაში, რომელიც მადრიდის სახმელეთო კომპონენტური სარდლობის შტაბის ხელმძღვანელობით ტარდება, 14 ქვეყანა მონაწილეობს, რომელთაგან 8 აკმადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრია. სწავლებაში ასევე მონაწილეობენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისარატო.

სწავლების პირველი სამუშაო ეტაპის – Cooperative Longbow 09-ის მიზანია სამუშაო პროცედურების დახვეწა და მრავალეროვანი ბრძავების ურთიერთდახმობის გაუმჯობესება. სამუშაო სწავლების დაგეგმვა ჯერ კიდევ გასულ წელს ბელგიაში დაიწყო, ზაფხულში კი იტალიაში მომავალ სწავლებაში მონაწილე ქვეყნების ოფიცერთა შეხვედრებში სწავლების სამუშაო ნაწილის გეგმის გაწერა მოახდინა.

სხვა მასშტაბური სწავლების მსგავსად, სამუშაო Cooperative Longbow 09 წინასწარ დაგეგმილი სცენარით მიმდინარეობს, რომელსაც სამხედროები ატლანტიკის ოკეანეში, მოგონილ პატარა კუნძულზე ათამაშებენ. მრავალეროვნული სამეთაურო რგოლების, ბატალიონებისა და ბრიგადების დონეზე სამხედროებს მნიშვნელოვანი პუნქტების დაცვა, სამოქალაქო პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში მათი ევაკუაცია და ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარება ევალებათ.



ბრიგადის ბენერალი ჟოვანი სავარუზე

Cooperative Longbow 09-ის ფარგლებში 18 მასს აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის ვაზიანის სამხედრო ბაზაში შედიაღლე გაიმართა. სწავლები-ის ოფიციალურ პრესსამსახურს ესპანელი პოლკოვნიკი ლუის აბარაუტო ხელმძღვანელობს.

პრესკონფერენციაზე მოხსენება გააკეთა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენელი, სწავლების ხელმძღვანელის მოადგილემ, ბრეიგდის გენერალმა ჯოვანი სავარუზემ, რომელმაც სწავლების ეფექტიანად წარმართვაში მასპინძელ ქვეყანას, მადრიდის სახმელეთო ჯარების სარდლობასა და მონაწილე მხარეებს შორის კოორდინაციის მაღალი დონის საჭიროება აღინშნა. ამჟღავნებდა, აქცენტო გაკეთდა პროგრამა „პარტნიორობა შვედობისთვის“ ფარგლებში საერთაშორისო სწავლების რეგულარული ჩატარების აუცილებლობაზე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-3-ის ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ნუგზარ ცინცაძემ ისაუბრა ჩვენი ქვეყნისთვის ამ სწავლების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ეს ჩვენი ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს, გახდეს თავსებადი NATO-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან, დახვეწოს სამუშაო პროცედურები და მიიღოს მრავალეროვნულ შტაბებში მუშაობის გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის პროცესს. მისი თქმით, რამდენიმე ქვეყნის გამოთხოვას მიუხედავად, სწავლება გეგმის მიხედვით გაწერილ ვალებში მიმდინარეობს.

Cooperative Longbow 09 21-მასს დასრულდა, ორი დღის შემდეგ, 21-მასს, სწავლების მეორე საველე ეტაპი – Cooperative Lancer 09 დაიწყო, რომელშიც სამხედროები პოლიგონზე უკვე სამუშაო სწავლებისას შემუშავებული სცენარის მიხედვით იმოქმედებენ.

თეიმურ პულუზაშვილი



სამუშაო სწავლებისას სამხედროები რეალურად უკვე დაამუშავებულ სცენარს პოლიგონზე გაითამაშებენ

საქართველოში სახელმწიფო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია დაფუძნდა

საქართველოში ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია დაფუძნდა. ვეიქრობთ, „არსენალის“ მკითხველებისთვის საინტერესო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ შეიქმნა საქართველოს სამხედრო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია.



საქართველოს სამხედრო ჟურნალისტთა ასოციაციის განვითარებისთვის ხელშეწყობა, სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება სამხედრო-პოლიტიკური პროცესების შესახებ, საქართველოს ვეროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირებისთვის ხელშეწყობა, — ეს ამ მხნეების მოკლე ჩამონათვალაა, რომელიც გაცხადებული აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „სამხედრო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციას“.

ასოციაციის დამფუძნებლები და წევრები არიან: გიორგი ცხვიტყა, ჯობა ლიქელაიძე და ირაკლი აღადაშვილი.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში სამხედრო ჟურნალისტთა ასოციაცია პირველად ჩამოყალიბდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანებს ყველა ამ კონფლიქტურ სიტუაციებში მყოფი ჟურნალისტს, რომლებიც სამხედრო საკონფლიქტო და დაქმნების სტრუქტურებს ცოდნის გაღრმავებას.

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირების დროს ცხადი შეიქმნა, რომ საქართველოში მძაფრად განიცდის სამხედრო კვალიფიკაციის ნაკლებობას. საბრძოლო მოქმედებების დროს სუსტად მუშაობდა

სამხედრო-საქველ პრესცენტრი და ჟურნალისტებს მწირი ინფორმაცია ჰქონდათ შესაბამისად, ასოციაცია აპირებს თანამშრომლობის სამხედრო უწყებასთან და სურვილის შესთხოვვაში გაუმართოს მომავალ ოფიცრებს დასუფილის გამოცდილება მუდღისად სამხედროების ურთიერთობის ისტორიიდან.

ასოციაცია აპირებს აქტიურად ჩაერთოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის პროცესში და შეიტანოს წვლილი საქართველოს ნატოში გაწევრების საქმეში.

სამხედრო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია უკვე დაუკავშირდა ევროპის სამხედრო ჟურნალისტთა ასოციაციას, სადაც ცნობილი ვეროპული ექსპერტები და ჟურნალისტები არიან აკრედიტებული. ეს ევროპული და ქართველი სამხედრო ჟურნალისტების თანამშრომლობის პირველი მცდელობაა.


საქართველოს სამხედრო ჟურნალისტთა ასოციაცია ამჟამად მუშაობს საკუთარ ინტერნეტგვერდზე, რაც გაუადვილებს ქართული ეროვნული ტელევიზიების, რადიოების, ბეჭდური და ინტერნეტზედა საშუალებების წარმომადგენლების სამხედრო საკითხებში გარკვევას და მუშაობას. ასოციაცია იმუშავებს ოფიციალურ საინ-

ფორმაციას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას და გაადვილებს საზოგადოებრივ კონტროლს სამხედრო უწყებაზე.

ასოციაციის დამფუძნებლები გვემყენ სამხედრო ოქმზე კონფერენციებისა და სემინარების ჩატარებას.

პრეზიდენტი: „სამხედრო ჟურნალისტთა გაერთიანების შექმნის იდეა დიდი ხნის წინ გაჩნდა, მაგრამ უნაბრუნებლად მასინდამდე არ ვარ ჟურნალისტების „ეწირი სპეციალიზაციის“ ნაწილი დაეფიციის მომხრე, თავს ვიკავებდი, მაგრამ ავგისტოს ომმა ჩემს და ჩემს კოლეგებს მოქმედების ბოლო მოუღო. ჩვენ დავინახეთ, რომ დაუფერობა და ვაკანუი ოს ცოდნა, რაც დაფუძნებულია სხვადასხვა საინფორმაციო კონფლიქტის გაშუქების დროს გამოცდილება, რაც არსებობს ცივილიზებული სამყაროში სამხედროებისა და მედიის ურთიერთობაში, სადაც ერთმანეთს უყურებენ არა როგორც მტრებს, არამედ როგორც პარტნიორებს. მაგრამ ურთიერთობის ასეთ დონეზე ავყავა, საქართველოში ბევრ რამეზე დამოკიდებული, ჩვენ მზად ვართ ორ ნაბიჯი გადვადგათ სამხედრო კონფლიქტის, ოქო ოსინი ერთ ნაბიჯი გადმოვდგამ. ვერაფერობით მათგან მხოლოდ ნაწილს ვხედავთ, უნდობლობის ბარიერი მზადვე გადასალახება, მაგრამ ამას ტრადიციულ ვერაფერს ვხედავთ, მთავრად, ჩვენ არ დავკარგოთ დრო და ჟურნალისტებმა წავაშველოთ ინიციატივა.“

გარდა ამისა, ბევრ ჩემს ახალგაზრდა კოლეგას აინტერესებს ისეთი აქტიულოური საკითხი, როგორცაა რეპორტიორის უსაფრთხოება კონფლიქტურში, სამხედრო სისტემის საინფორმაციო მუშაობის თავისებურება, ომის გაშუქების ძლიერი და სილვერით მხარეები ავგისტოში. ამან შეიძლება საინტერესო სემინარების ჩატარება და გამოცდილების განზოგადება. მისი სახელმწიფოებრივი ან არაინფორმაციული ქვეყ. მით უფრო, რომ ომისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანტარული ფაკულტეტის ჟურნალისტთა მამდინარეობაზე უკვე ვაინდა ახალი საკითხი „სამხედრო ჟურნალისტთა“, რომელსაც მე ვაიხუთვებ, მაგრამ სახელმძღვანე-



„არსენალი“ საქართველო-რუსეთის საზღვარზე...

ყოფილი — როგორც დიდი იმედი და ასევე დიდი იმედგაცრუებაც...

არ შეიძლება იმის დავალება, რომ ახალგაზრდულ „არსენალს“ 2004 წლის აგვისტოს ბოლოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მხარში ამოეღებოდა. თუმცა ნახევარ წელსწინ იმედი პრეზიდენტის მამინდილი თვალდაცვის მინისტრ ოქრუაშვილის „ჩაწოდებით“ „არსენალის“ მიუჯარი რედაქტორი ტელევიზიით ღამის ქვეყნის მიმდევარად გამოაცხადა და ჟურნალს ყველა გზა ჩაუკეტა არამის შიდა ცხენურების გასაშუქებლად. თვალდაცვის მინისტრ ოქრუაშვილის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია იმ კრიტიკულმა სტატიებმა, რომლებიც ეჭვობდა არასწორ საკადრო პოლიტიკას (რომლის მძიმე შედეგებაც, სამწუხაროდ, აგვისტოს იმის დროს მოვიხილეთ), შუამრადების გაბერული ფასებით შესყნას და სხვა.

მიუხედავად ამისა, „არსენალს“ საქმიანობა აქტიურად გააგრძელა თვალდაცვის



2008 წ. ჩამოგდებული რუსული ბომბამშენის ფრაგმენტი...

სტრუქტურაში და განსაკუთრებით გენსტაბში ახალ პირთა მოსვლის შემდეგ ურთიერთობა შედარებით დათბა, თუმცა არც ისე, რომ საქმეს ბოლომდე წასდგომოდა.

სხვადასხვა ხელის შემქმელი თუ შემოკერხებული მძეუმების მთხედვად, „არსენალი“ მანც ახერხებდა და კვლავ ახერხებს ქართველი სამხედროების გუჯრით ღვიმას. იქნება ეს საქართველოს საზღვარზე, ვერაძე, თუ საომარი მოქმედებების დროს, ცხინვალის რეჯონში.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ყველაზე გულსატკეპნი კი ის არის, რომ „არსენალში“ გამოქვეყნებული წერილები უდღესი ნაწილი, სამწუხაროდ, გამართლდა, რამაც დღევანდელ რთულ მდგომარეობაში მივიყვანა საქართველო.

„არსენალის“ ერთგული მკითხველი დაგვეკითხება, რომ წყნ არაერთხელ წამოვიკვირა საკვირიბოლო თუქმები, მათ



2008 წლის მაისი, ერაყი...

შორის საპაერო თვალდაცვის ექვემტანის სისტემის უქონლობა, არაკვალიფიკაციური სამხედრო მეთაურების პრობლემა, ოპერატიული მართვის სისუსტეები, კომპრეგამბულობის სისტემის დაუხეჯება და ა.შ.

არ შეგვიძლია, არ გავისხინოთ ერთი პატარა სტატია სახელით „იმის დაწყების ზღურბლებზე...“ რომელიც 2008 წლის 8 აგვისტოს გამოსულ „არსენალში“ იყო დატყვილი:

„ცხინვალთან მოსახლეობის ნაწილის ექვემტანა იმაზეც მათინძებს, რომ სებატარისტები იმის დასაწყებდ უზადებან“;

„ეს 2004 წლის ზაფხულის საბრძოლო მოქმედებების შემდეგ ყველაზე მწვეუ შეიარაღებული დაბრისბრება იყო და არსებობის სამსურბება, რომ ყოველზე ეს ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდოს. რუსული სამშვიდობო ბატალიონი ასე ამწარად არ ეწეა ბრძოლაში, მაგრამ თუკი სიტუაცია კვლავ დაიძაბა, ის მხარს დაუჭერს სებატარისტებს“.

„თუკი კონფლიქტის ზონაში დაბრძოლაში მხარბეულმა დაიწყეს მძიმე საბრძოლო ტექნიკის, განსაკუთრებით კი მხვილკალიბრის არტულიერიის თამბურა, მშენს ეს იმის დაწყების მაქწყვეტილი იქნება“;

„თბილისში უნდა გაითვალისწინოს, რომ ცხინვალთან ორმხარეი ინტენსიური სროლის დაწყების პარალელურად გაბმრდება აფხაზი სებატარისტების შეიარაღებული პროოკაციები კვირიას ხუბის ზედი ზონასთან, ასევე გალის რაიონში“;

„შუამართული პროოკაციების მზანი ქართული მხარის ძალების გახლეჩა, მათი ორ ფრინტზე ბრძოლაში ჩაბმა იქნება“;

„პარალელურად, როცის გვირბას გეულით ობი სებატარისტები მიიღებენ დამატებით ძალებს რუსულიდან როგორც მებრძოლების, ისე სამხედრო ტექნიკისა და ტექნიკა-წაღლის სახით ამიტომაც საბრძოლო მოქმედებების გაუმართების შემთხვევაში, თუკი არ იაიყტა როცის გვირბი, ქართული მხარეს ძალიან გაუჭირდება“.

ეს სტატია ომამდე 5 დღით ადრე დეყურეთ და ფრთხილად წარმეჩინეთ ის საფრთხეები, რაც შეიძლებოდა დაგეშუქებოდა.

წყნდა სამწუხაროდ, ყველა ეს საფრთხე გამართლდა, რის გამოც დიდი გულისტკიულით გავითქმენბა, თუკი „არსენალი“ ხელბიდა, რა ტრაგიკულად შეიძლებოდა წარმართულიყო აგვისტოში სიტუაცია, რატომ ვერ არ გაიზარეს ეს ხელსუფლების მძაღლ ექმლინებში?!

„არსენალი“ 5 წლისა და ეისურბებდით შესდგომ ობიღებუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მიგველიცის წყენი მკითხულისთისი!

ირაკლი ალბაბვილი
ბიორბი შირაშოლიანი

ვინ დასაიჩნოს პრეზიდენტის კანდიდატურაში: ჯანსუყი თუ მოქვანობა?

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასშტაბისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი მრეწველ-კონსულტანტი სიმონ კლაძე 2006 წლის 28 მარტს ჯანსუყიანის ბრალდებით დააკავებს, ეს სახელმწიფო ანტიკორუფციის მესამე სართულზე მდებარე მის პატარა სამუშაო ოთახში მოხდა. თვითმხილველი გადმოცემით, ჯერ კიდევ დღია (საღიაც 9.00 – 9.30 საათი) იყო, როდესაც შსს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელი უზნაურად აიყვანეს, ეს სენსაციური ფაქტი საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის სატელევიზიო კომპანიებმა კოლაძის დაკავებიდან სულ რაღაც 4-5 საათში გააუჩქარეს. აპრილის დასაწყისში სამშობლოს დასაბრუნებას დასრულებულმა სიმონ კლაძემ აღიარა დანაშაული და საპროცესო გარიგების საფუძველზე ის ერთ წელსწინდელ უკვე ითვისებული იყო. გათავისუფლებული ბატონი სიმონ კლაძე დღეს ლემოს ამჯობინებს. ჩვენი ანკვირების მცდელობის მიუხედავად, მასთან შეხვედრა და გასაუბრება ვერ მოხერხდა, თურქეთისაკენ ის ვიზიტზე უცხადებს, რომ ამ თემებზე, ალბათ, ოდესმე ისაუბრებს, მაგრამ არა – უახლოეს მომავალში. სხვა რა დაგვარჩენია, ჯერ გვეცნოთ პრეზიდენტის ანტიკორუფციის გამომწვევი „ჯანსუყის“ დაკავების და ბრალდების ოფიციალურ ვერსიას, შემდეგ კი ჩვენი წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას შემოვთავაზებთ ამ ორი, საკმაოდ განსხვავებული ინფორმაციის შედარების შედეგად კი ერთად გვაკვირით ობიექტურ დასკვნას.



უშობასა და სამშობლოს დასაბრუნებას ბრალდებულს, ასევე ზოგადღის, საქართველოში მიმრავლებული სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების ავანტიურის შესახებ. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ქვეყნის პირველი პირი ოფიციალურად აღიარებდა ჯანსუყიანის არსებობას. სიმონ კლაძის ოჯახისთვის კი პრეზიდენტის განცხადება საბოლოო განაჩენით გაიხსნა. მაშინ პრეზიდენტმა ამ ფაქტზე ამგვარი კომენტარი გააკეთა: „საქართველოს კონტრდაზვერვის სამსახურს აქვს ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომლებიც უკუაშრდება საქართველოს წინააღმდეგ ამ კონკრეტული პირისთვის საქმიანობას. საქართველოში არაზოგად, დამოუკიდებლობის შემდეგ, ამ ბრალდებით სახელმწიფო უწყებებში არაფერი დაუკავშირებიათ ეს პირი და დამოაგრდა. ემსობ, ეს არ არის ბოლო ადამიანი, ვინც შეიძლება აღმოჩნდეს სახელმწიფო ორგანოებში (იმ ინფორმაციით, რომელიც მე მაქვს), რომელიც დაკავებულია ანალოგიური საქმიანობით“. ამითანხმებით, რომ ქვეყნის პირველი პირის გამოსვლა მართლაც განაჩენის გამოტანას ჰგავდა, ვიდრე თურთიდეული განაღობების მქონე პირების მიზმილ, უდანაშაულობის პრეზუმეცია-

ის მოთხოვნების გათვალისწინებით გაკეთებულ განცხადებას. არაფისთვისაა დასაძლი, რომ პრეზიდენტის ავანტიურა ბრალდება, როგორც წესი, ხელქვეითებისთვის ბრძანებად გაიხსნის. ახვე დროს კოლაძის დაკავება საქართველოს პრეზიდენტმა ძალიან სერიოზული მესიჯის გასაგზავნად გამოიყენა. მტეცი, ულტიმატუმი წაუყენა საქართველოში მოქმედ უცხო ქვეყნის ავანტიურებს. მან განაცხადა, რომ საქართველოს სპეცსამსახურების აქეთ ინფორმაცია სახელმწიფო სტრუქტურებში ჯანსუყიანის ქსელის არსებობის შესახებ და რომ უსაფრთხოების გარანტიას აძლევს იმ პირებს, რომლებიც 2006 წლის 1-ელ მაისამდე საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას დაიწყებენ. პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადება იმდენად მნიშვნელოვანი იყო და არის, რომ კიდევ ერთ ციტატას შემოვთავაზებთ: „ამ ხალხმა უნდა იცოდეს ერთი რამ: ისინი მუშაობენ არა კონკრეტული პრეზიდენტის ან კონკრეტული მთავრობის წინააღმდეგ, ისინი მუშაობენ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ, ჩვენი მხედლების მომავლის წინააღმდეგ... ჩვენ არ გვიინდა ადამიანების ტყუილად გაყვანა. მათ უნდა იცოდნენ, რომ დიდი ხნის განმე-

სიმონ კლაძის დაკავება
2006 წლის 28 მარტს, იმ აუბილით დღეს, როდესაც სიმონ კლაძის ოჯახის წევრები და ახლობლები დაკავებულს მძიმარი წაყვებულ ბრალდებას აბსურდულს უწოდებდნენ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განცხადება გააკეთა, რა დასაძალია, რომ დანაშაულის ჩამდენად, მით უფრო, სამშობლოს მოდალატედ, ოჯახის წევრისა და ახლობლის წარმოდგენა ვეულის უჭირს. ხორვატიაში ოფიციალური ვიზიტით გამგზავრებამდე პრეზიდენტი თურნალისტებს შტედა და საკმაოდ დაწერბილებით და ესოცირბად ისაუბრა როგორც ჯანს-



ლობაში ვაგროვებთ ინფორმაციას და ვიცით, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში არის ბევრი ადამიანი, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებენ. მათ ეძლევათ შილა შანსი, რომ თანამშრომლის საქართველოს სამართალდამცვეთთან... ჩვენ ვაძლევთ ერთ თვეს, დაახლოებით 1-ელ მაისამდე, რათა ის ადამიანები, რომლებიც დღეს თვითონ ქვეყნის წინააღმდეგ მუშაობენ, გამოცხადდნენ კონტრავერსიულად... მე ვაძლევ ვერანტიას, რომ ისინი თქვენთან სრულიად ხელშეუხებელი, მათ ერთი თმა არ ჩამოუვარდებათ... რა მშვენიერი ვადაწყვეტილებაა თქვენთან, რომ ეს პატივითული და საკანონმდებლო მხოლოდ ვერაბული არ დარჩენილიყო და შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა მიეცო. პრეზიდენტის განცხადების შემდეგ გენერალური პროკურატურისა და შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გაითვინეს ეს დაპირება და აკენტები „მოდულის“ შენობასთან დაიბარეს ადიარებითი წყენების მისაცემად. 1-ელ მაისამდე გამოცხადებულ „ჯაშუს მთქალაქებს“ ხელშეუხებლობას, ანონიმურობასა და სისხლისსამართლებრივი დევის ადუქტულობას დაპირდნენ. თან დაემუქრნენ, თუ 1-ელ მაისამდე არ მოხვდით მერე ჩვენ მოგაკითხავთ. უცხო ქვეყნის აგენტებისთვის სიტყვიერი დაპირება, თუნდაც ქვეყნის პრეზიდენტისგან მიდიდოს, დიდი ვერაფერი ნუგეში და შედავათა. თუ არ არსებობს შესაბამისი კანონი ხელშეუხებლობის გარანტიების შესახებ, თვითდაარებითა და ნებაყოფლობით გამოცხადებულ ჯაშუსთა რიგებს „მოდულის“ შენობასთან ცოტა თუ ელიდა. ისე აგიხდით ველადფერი, როგორც აქ არავინ მისულა. შემდეგ სახელმწიფო აქციელარიანს საკვალიური ბრიფინგი გაიმართა, სადაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი არეგლაძემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ოფიციალური განცხადებები გააკეთეს. შინაგან საქმეთა მინისტრი: „სიმონ კილაძე 2004 წლიდან ისტრატეგულად აწედა უცხო ქვეყნის საექსპანსიონო ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტზე, ქვეყნის ადმინისტრაციის და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელებზე (ანუ ნინო ბურჯანაძეზე), სახელმწიფო დელეგაციების ემისიების, შემდგარი შეხვედრების, ამ შეხვედრებზე განხილული საკითხების და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის შემკველ ინფორმაციას“. მინისტრის განცხადებით, სიმონ კილაძე უცხო ქვეყნის

საექსპანსიონო ინფორმაციას ხან ელექტრონიული ფისიით აწედა, ხანაც კი პირადად ახდენდა ინფორმაციის გადატანას. „გასული პერიოდის მინიმალური კილაძემ მინიმუმ 20 თანხი დოლარი მიიღო შიპონური საქმიანობის საფასურად, ეს არის ის, რაც ჩვენ საბაზო ვადარებულავით დაგვაქსირეთ მთუხედავად საქმიანობისა და ზეფასისა, სიმინი კილაძე ოჯახთან ერთად დღემდე ერთიანობის საერთო საცხურებელში ცხვირობს, — დაახუტვა შსს-ს მინისტრმა, თან დასძინა, — ამ ეტაზე გამოძიება მუშაობს იმზე, თუ ვისთან პქინდა სიმონ კილაძეს კონტაქტს“. მაშინ არ დაუსხულებიათ რომელი ქვეყნის სასარგებლოდ მუშაობდა კილაძე. საქართველოს საექსპანსიონო ბი ამ ინფორმაციის გამხელას სასამართლო პროცესზე აპირებდნენ. თავისი განცხადებით შსს-სთვის იმ ეტაზე მხოლოდ ერთი რამ იყო ზუსტად ცნობილი: „2004 წლიდან კილაძე რეგულარულად გადასცემდა ინფორმაციას დამკვეთებს“. ვანი მერაბიშვილმა განსაკუთრებული მაღლობა ვაღუყხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და კანცელარიის თანამშრომლებს, რომლებიც „თვეების მანძილზე თანამშრომლობდნენ კონტრდაზვერვის სამსახურთან და სახელმწიფოს ჯამუმის გამოფენაში დაქმნულნი“. შემდეგ გიორგი არეგლაძემ არ დაიშურა პარტიული ზედმთების ფრეკვა: „ის დრო დამიკურდა, როდესაც სახელისუფლებო სტრუქტურების მაღალ რგოლებ-

ში საექსპანსიონო მუშაობდნენ. როგორც ქართველი და როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის თვზვლიდარე ვეფლეთის ამავ ვიქნები, როდესაც ქვეყნის მოღალატეებს ვაგვეფლეთი ასეთი ადამიანები საქართველოში ვერ იარსებებენ. ვინც ფიქრობს, ამ გზით იშვოს ვეფლი. ვვეფლად დაგვტყოს და პასუხს ვაგებინებთ“.

ქართველს ვიხუც ვერადაღება მთქალციის ერთ მნიშვნელოვან ფაქტს: კილაძე სულ რამდენიმე საათის დაკვეთილი იყო არეგლაძემ უკვე ქვეყნის მოღალატეთა სიამი მოქმინა ადგილი. უდანაშაულობის პრეზუმქცია არავის ახსოვდა და მამინე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ვვეფლავით 28 მარტზე, დაკვეთისთანავე იყო გადაწყვეტილი.

იყო თუ არა პროცესუალური დარღვევები ჩხრეკის დროს

იმევე დღეს, 28 მარტს, ჩატარდა ამიღვეთისა და ჩხრეკის ოპერაციები სიმონ კილაძის სამსახურსა და საცხურებელ ბინაში. საზოგადოდ, ჩხრეკის მინანია შესაბამისმა ორგანოებმა ადმოჩინნ და ამიღვილ დანაშაულის იარაღი, საგანი, რომელსაც დანაშაულის კვალი ატყვია, დანაშაულებრივი გზით მოაოფებული ნივთი და ფასელობა, ასევე სხვა საგანია და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა საქმის გაუმქობათა ვასარეკვე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 323-ე მუხლი: „ამიღვილსა და ჩხრეკის წესი“ ვარკვევით

- ვის ხელმძღვანელობდა ქართველ მსტოვრებს?
- როგორ „შოიანრეს“ ქართველებმა სამშვიდლის ციხე
- „ზღინერის ლომის“ პრეტენზიები
- ზალუხანანის დემონოქრმატია
- ზანტან ზორაბაშვილის საიდუმლო შიხია
- მსტოვრების „კაღრების საშუქლო“
- „უღელური რუსის“ ისტორია
- ფორი რუსის სამეფო კარდან ვაძვების მთქმეზი
- ქართველ მეფეთა ინტემურა ცხოვრება
- ჩაუშუმეის თამარის სამეფო კარზე
- ქართველ მსტოვართა მიერ მოგებულ მანასის ბრძოლა

ანსიკ ალაფაშილი



მსტოვრომის ისტორიის საქართვლოში

I

ნიქონათ ნიგონს ვალაზნიავი
 ან ღაკაქით 38-26-73; 38-26-745

და პიილათ ნიგონი სასლუი, შანსაქაბიის გარეშე

www.elva.ge

არგულებებს ან უმნიშვნელოვნებს პროცედურას. კოლამის ბინაში ჩხრეკა რამდენიმე საათს გრძელდებოდა და ოჯახის წევრების განცხადებით, რაღაც ქაღალდები ამოიღეს. შობიდან ყველა ნაწილი და ნაბეჭდი საიდუმლო დოკუმენტაცია შეიძლება მოეჭრის მაგნს. მით უფრო, თუ ამ მხრივ ატარებს ჩხრეკას. ასე რომ, ქოთნის ყურს ამ მხრიდან გაიმართა, საიდანაკ სპეცსამსახურებს სჭირდება.

კოლამის ბინაში ჩხრეკა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხმა თანამშრომელმა ჩაატარა და ფულს, იარაღსა და საიდუმლო დოკუმენტებს ეძებდნენ. თუმცა კოლამის მუგლის განცხადებით, სამართალდამცველების ჩხრეკის ორდერი არ წარმოუდგენიათ ხელში საიდუმლო და აკრძალული რომ უფრო უფრო, კოლამის დაწერილი ანალოგიური მასალა წაუღიათ. კოლამის ადვოკატის პაატა ბუჩუკურის განცხადებით, ჩხრეკისას სამართალდამცველების ნორმები: არ წარმოუდგენიათ არც მოსამართლის ნებართვა და არც შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაკეპული დღეულობა. ბუჩუკურის ოქმით, სამართალდამცველებს ოჯახის წევრებისთვის არც ჩხრეკის ჩატარების ოქმის ასლი დაუტოვებიათ თუ ადვოკატის განცხადება სინამდვილეს შეესაბამება, ამგვარ დარღვევებს არსებობის შემთხვევაში ნებისმიერ დემონსტრაციულ სახელმწიფოებში განსაკუთრებულ პრინციპს სსსპმართლო პროცესთან გათავისუფლებდნენ. 2006 წლის 30 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ სიმონ კოლაძეს ორთავანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. დასკვნის გაკეთება თქვენთვის მიმინდება.

გზა რესპუბლიკარ საავადმყოფოში

სიმონ კოლაძის ოჯახის წევრებმა 28 მარტის საღამომდე არ იცოდნენ, სად იმყოფებოდა დაკავებული. ამ დროს კი „ძიებულის“ შერჩევაში მიდიოდა კოლამის ინტენსიური ფსიქოლოგიური დამუშავება. მისი ადვოკატი კი უმძლეოდ ცდილობდა კოლაძესთან შეხვედრას. ამან კი ის ნაყოფი გამოიღო, რომ 29 მარტს გულის შეწყვეტურ კოლაძე რესპუბლიკარ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისათვის მის ბრალად წაყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის („ჯაშუშობა“) პირველი ნაწილი, რაც თანდასწრებით: „უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან მათი წარმომადგენლისთვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგ-

ვარი მონაცემის შფეროება, შენახვა ან გადაცემა, ანდა გამოძალა, ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დაფუძნებით სხვა ინფორმაციის შფეროება ან გადაცემა, — ისევე თავისუფლების აღკვეთით ვადათ ხუთიდან ათ წლამდე“.

სიმონ კოლაძის აღიარებითი ჩვენება

2006 წლის 12 პრილის საქართველოს მასშვიდის საშუალებებით გვირვებდა ინფორმაცია, რომ სიმონ კოლაძემ აღიარებითი ჩვენების მიცემა დაიწყო და პრეზიდენტს შეწყალების სთხოვს. იმავე დღეს შს სამინისტრომ გაავრცელა ვიდეომასალა, სადაც კოლაძე აცხადებდა, რომ 2004 წლის მაისში ელექტრონულ მისამართზე მიღებული წერილი სასაუკველზე დაიწერა ჯაშუშობა. საინტერესოა, რომ ვიდეომასალაში კოლაძეს არ დაუსახვლებია ქვეყნა, რომლის სასარგებლოდაც ემუშავებდა. განვლილ წლებში უკვე მიუყვანიო უახრო გამოძევებულებით მიცემულ „ხელედაღარებით ჩვენებს“ (თუნდაც თვადიკვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ვაგვისწინით), რომლიც საერთო ის აქეთ, რომ შემდეგ ყველა გადათქამდა აღიარებას. 2006 წლის კი „ჯაშუშობის“ ეს აღიარება ბევრმა საქართველოს სპეცსამსახურების კარგ მუშაობის მაჩვენებელი. ისე კი ჯიხს თვად კოლაძის აღიარებით ჩვენებას სრულად გავეცნით: „2004 წლის მაისში ელექტრონულ მისამართზე მივიღე წერილი და შემოსიფარა ჩემ მიერ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ გარკვეული ფინანსური ანაზღაურება... იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი ოჯახი იმყოფებოდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, მე დაეთანხმე შემოთავაზებულ წინადადებას და შემდგომში მიწოდებული კითხვების შესაბამისად, ჩემ მიერ არავითარ შემთხვევაშიც არავინ დაიწინაურებულა თითორი-ორი წლის ქვეყანაში არსებული ინფორმაციის, პრობლემების, პრეზიდენტისა და მისი მინისტრების, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირთა, ასევე საბიურობო დელეგაციების ვიზიტების, ამ ვიზიტებზე განსახილველ საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ“. დააკვირდით, როგორ ჰყვას კოლაძის 12 აპრილის ვიდეოაღიარება 28 მარტს, კოლაძის დაკავების დღესვე საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პირების მიერ წაყენებულ ბრალდებებს.

საიდონ იტებლა კოლაძე საიდუმლო ინფორმაციას

ბუნებრივად „უნიარ შექვეყნის“ საიდუმლო ინფორმაცია დასტურდებოდა და არა წყაროების გამოყენებით შეგვიწინო ანალიტიკური მასალა, ამიტომ კოლაძესაც ამგვარი დოკუმენტები უნდა მიეწოდებინათ. ჯაშუშობაში ბრალდებულმა განაცხადა, რომ მისთვის აღნიშნული ინფორმაცია ცნობილი ხდებოდა როგორც სამსახურებრივი მუგალობების შესრულებისას, ასევე პირად კავშირების საშუალებით, რომელიც მას ჰქონდა პრეზიდენტის აღმხმსტრაციამთ. „ყოფილი გადაცემული ინფორმაციის სანაცვლოდ მე ვიძლებდი ფულად გასაძირვლოს“, — აცხადებდა ვიდეოაღიარებაში სიმონ კოლაძე და თან გვირვებდნენ თვადიკოსთა. „თანდაზიანებით კავშირებს ისეთი მხარის მივიღე, რომ დეფექტი. უცადე, უთითებოების შეწყვეტა, თითქოს მასთან ინტერესების საშუალებით კონტაქტის შესახებ შესაძლო იყო ჩემს ხელმძღვანელობის მტრული, რასაც ჩემთვის სერიოზული პრობლემების შექმნა შეეძლო. მივიღე წინადადება, განსაკუთრებით ფსევდი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში ჩავსულიყავი (აქ მას წაშლილი იყო — ბა...). და ვადაძეცა ინფორმაცია შუამუგვლის მიშუშებით. მითითებული არხით (ან კარვად ოპერატული ტერმინია და ნაკონაჩხეს ჰყვას — ბა...) ინფორმაცია 2005-2006 წლებში ორჯერ გადავიცი“, — ამბობს კოლაძე. საინტერესოა, რომ ოჯახის წევრებზე დასტურდებულნენ მის „ფორულ“ ვიზიტებს „დაუდაკენელ ქვეყანაში“. არავისთვის იყო დამალული, რომ დასახლებულ წლებში კოლაძე მართლაც ორჯერ იმყოფებოდა საზღვარგარე კონმიდ, რუსეთში, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური დელეგაციის წევრი. ბილის კი კოლაძემ ასე დაასრულა აღიარებითი ჩვენება: „ამჟამად მოეცა არა შესაძლებლობა დამოუკიდებლად გეგმავლობისა ყველაფერი, ვინაიდან ვიყოფილეს, მინდა ვითხოვო პატიება. მზად ვარ ვითანამშრომლო გამოძიებასთან, მგონოდა მამ ჩემს ხელთ არსებული ყველა სახის ინფორმაცია და ვიზიზო საქართველოს პრეზიდენტს ჩემ მამართ გარკვეული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შევადართე“. ვინაიდან იტებლა, გეტყვითლი კაცის „აღიარება“, სატელევიზიო გადაცემის დროს კარვად ჩანდა, რომ კოლაძის მინიბურთი, მისთვის უცხო ტერმინოლოგიით დაწერილ ტექსტს აკითხებდნენ.

(გატებლება შემდეგ ნომერში)

უპილოტო საფრენი აპარატები სტელსის ტექნოლოგიით

ამერიკულმა კომპანია General Atomics-მა გასულ თვეს ახალი, მოდიფიცირებული უპილოტო საფრენი აპარატი Predator C Avenger-ი გამოცდა. Predator-ის წინა მოდელებსაგან განსხვავებით ახალი აპარატი სტელსის ტექნოლოგიების გამოყენებით არის შესრულებული და უფრო ძლიერი — PW 500 ძრავით არის აღჭურვილი.

კომპანიის განცხადებით, C Avenger-ში მოხერხდა Predator-ის წინა მოდელების ყველა საუკეთესო თვისების თავმოყრა. ახალ აპარატს აქვს MQ-1-ის საფრენისრო თვისებები, ატარებს MQ-9-ის მსგეის შეიარაღებას და წინა მოდელებთან შედარებით გამოირჩევა ფრენის გაზრდილი ხანგრძლივობით, მაღალი გამძლეობითა და სიჩქარით. ზომებით MQ-9 Reaper-ზე ოდნავ დიდია.

C Avenger-ის ფიზიკურ სიგრძე 12 მეტრია, ფრთების გაშლადობა დაახლოებით 20 მეტრი, ფრენის სიჩქარე 18 კილომეტრი, აღჭურვილია ელექტრონიკური და ინფრარწიფი კამერებით, სენსორებითა და სხვა უახლესი მოწყობილობებით. აპარატის შექმნაში გამოყენებულია ყველა ის სიახლე, რაც თანამედროვე ამერიკულ წარმოებას გააჩნია.



უახლესი გერმანული კორპეზები

გასულ წელს გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებს K 130 პროექტით აგებული ორი ახალი კორპეტი F 260 Braunschweig-ი და F 261 Magdeburg-ი შეემატა. მშენებლობის სტადიაშია კიდევ სამი ხომალდი. ორი შაოგანის F 262 Erfurt-ისა და F 263 Oldenburg-ის დასრულება მიმდინარე წელს არის დაგეგმილი.

კორპეტების წვალწევა 1840 ტონა და სიგრძე 89 მეტრია. სიჩქარე 26-27 კვანძს შეადგენს და ვიწრო-მიური — 15 კვანძით ცურვის სისიორე 4 მილია. ეკიპაჟი 65 ოფიცირისა და მატროსისაგან შედგება.

კორპეტების შეიარაღებაში შედის: 2X2 ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა RBS15 Mk3, 2X21 საზენიტო კომპლექსი RAM, ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი Otobreda, ორი 27 მმ-იანი აუტომატი MLG, ორი უპილოტო საფრენი აპარატი Camcopter S-100.

მოსალოდნელია მეორე სერიის 5 ხომალდზე შეკეთების გაცემა და უახლეს 10-12 წელიწადში გერმანია K 130 პროექტის ხომალდის რაოდენობის 14-15-ით გაზრდას აპირებს.



„კავკაზ-2009“ კალის ღეონსბრძობის კლავს ერთი აპგალითი



რუსი მედეხანტეები
კავკასიის მთებში
ვარჯიშობენ

რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას საბჭოთა კავშირის ნოსტალგია ტანჯავს და ფინისში ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე, საქართველოს საზღვრებთან, ვრანდიოზული სამხედრო სწავლების ჩატარებას გეგმავენ.

19 მაისს რუსეთის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრ კოლბაკოვის თქმით, სწავლება „კავკაზ-2009“-ში ექსპერიმენტული ოლქის ფეხსა ბრძოლაში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო მასშტაბებითა და გაქანებით მას საბჭოთა პერიოდის სწავლებებზე თუ შეედრება.

სწავლება ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განთავსებული მე-7 და მე-4 სახედრო ბაზის კონტინგენტსაც შეეხება.

ასეთ სწავლებებს ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქი რეგულარულად ყოველ წელს ატარებს, თუმცა ადრე დასაზღვრება ცოტა განსხვავებული იყო.

2006 წლის ივლისში ანტიტერორისტული სწავლება „კავკასიკი რუბეჟ-2006“ სახმელეთო, საჰაერო, საჰაერო-სადესანტო, საზღვაო ქვეითი ჯარის ქვედანაყოფებისა და კასიის ზღვის ფლოტილიის ზომადების მონაწილეობით ჩატარდა. 6000 სამხედრო მოსამსახურეს მხარდაჭერას 190 ჯეჟმანტრანსპორტიორი, 30 ტანკი, 30 თვითმფრინავი და 10-ზე მეტი შვეულმფრენი უკავშირდა.

დამუშავდა მეზობელი საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან ბოევიკთა შემოსვლის აღკვეთისა და მესაზღვრეებისათვის დახმარების გაწვევის ამოცანები. სწავლებაში მონაწილე ძალებმა მარში როკისა და მამისონის უღელტეხილების, ზემო ზარამაგისა და ქვემო ღარსის მიმართულებებით ავიაციის მხარდაჭერით შეასრულეს, სადაც საქართველოს საზღვრების სახსრულეს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებზე შეტყვის, ბლოკირებისა და განადგურების ამოცანები დაამუშავეს.

ერთ-ერთი დაგეგმული მე-7 სამხედრო ოლქისა და აფხაზეთში სიტუაციის გამწვანების გამო ფსკოვის 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის 700 მედესანტე მედესანტეთა საბრძოლო მანქანებით როკის მიმართულებით გადაადგილდა.

2007 წლის ივლისში „კავკასიკი რუბეჟ-2007“-ს ისევ ანტიტერორისტული ხასიათი მიეცა და მასში ოლქის 58-ე არმიის, მე-4 საჰაერო და საჰაერო თავდაცვის არმიის, მე-7 სადესანტო-მოთხროვი დივიზიის, აგრეთვე მინაგანი ჯარებისა და სასაზღვრო რეაირული სამმართველოს 6 ათასი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. სამხედრო ტექნიკა 250 ტანკით, რამდენიმე ასეული ქვეითთა საბრძოლო მანქანითა და თვითმფრავი საარტილერიო დანადგარით, 30 თვითმფრინავით და შვეულმფრენით იყო წარმოდგენილი.

ქვედანაყოფებს რუსეთის სამხედრო ნაწილებზე ბოევიკთა მასირებული რეიდ-

ბის აღკვეთის, სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთისა და ბოლოს განადგურების დაუფლება მიეცათ.

მაშინ სამხედრო ოლქის საინფორმაციო და საზოგადოებასთან კავშირის სამსახურის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა ანდრეი ბობრუნმა ერთი საინტერესო კომენტარი გააკეთა, — სწავლებას სამხრეთიდან (გულისხმობდა საქართველოს) ჩრდილო კავკასიაში შემოსული ტერორისტებისა და ბოევიკების სახით ნამდვილი მიწინააღმდეგე ჰყოფდა.

უაღსასხენებელი „კავკაზ-2008“ 15 ივლისს დაიწყო და მასში 8 ათასი სამხედრო მოსამსახურე, ჯეჟმანტრენიკის 700 ერთეული (ტანკი, ჯეჟმანტრანსპორტიორი, საარტილერიო დანადგარი), 30 თვითმფრინავი და შვეულმფრენი მონაწილეობდა.

სწავლების სცენარი წინამორბედებისაგან არაფრით განსხვავდებოდა. საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფება ჩრდილო კავკასიის მთიან რაიონებში ბანაკებსა და ბაზებს ქმნიან, რუსეთის ტერიტორიაზე შეტარას სახელმწიფო საზღვრიდან ცდლობენ და ჩრდილო კავკასიის რამდენიმე რაიონის დაკავებას გეგმავენ.

სწავლების პროცესში კიდევ ერთი ამოცანა გამოჩნდა — ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონებში ვითარების გართულების გამო კონფლიქტის ზონებში მშვიდობისათვის ძეგლების ოპერაციებთან დაკავშირებული ამოცანების დამუშავება.

**ჩრდილოეთ კავკასიაში
სწავლებები რეგულარულად
ტარდება**



ანტიტერორისტულ ოპერაციად მონაწილე „აკეკაზ-2008“-ში რუსმა სამხედროებმა დაამუშავეს ისეთი საერთო-საჯარისო ამოცანები, როგორც არის საარტილერიო ცეცხლით საპაერო, საზღვაო თუ სახმელეთო სამიზნეების განადგურება, საპაერო-სადესანტო დივიზიის რკინიგზითა და სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის თვითმფრინავებით გადაყვანა, საპაერო და საზღვაო დესანტის გადასხმა და სხვ. საქართველოს საზღვრების ახლოს ტერორისტებთან ბრძოლით შენიღბულ სწავლებებზე სინამდვილეში რუსეთის არმიის გენერალური შტაბი მომავალ სამომარ მოქმედებებს აპრობირებს უკეთესად.

„აკეკაზ-2008“- 2 ავგისტოს დასრულდა, მაგრამ მასში მონაწილე ზოგიერთი ქვედანაყოფი დისლოკაციის ადგილებში დაბრუნებას არ ჩქარობდა. ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ქვედანაყოფები რჩებოდნენ და აკონტროლებდნენ ცხინვალის რეგიონის ისეთ სტრატეგიულ ობიექტებს, როგორც არის გუფთის ხიდი, როკის გვირაბის პორტალები, ჯავაში განლაგებული საწვავისა და საბრძოლო მასალების საწყობები და სხვ.

ჯერჯერობით უცნობია „აკეკაზ-2009“-ში მონაწილე ძალების რაოდენობა, მაგრამ საბჭოთა მასშტაბების გათვალისწინებით, ალბათ, დაახლოებით 20-25 ათასი იქნება.

„აკეკაზ-2009“- იგეგმება ვაზიანში NATO-ის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამით მიმდინარე სწავ-

ლება — Cooperative Longbow/ Cooperative Lancer 2009-ისა და 2008 წლის რუსეთი-საქართველოს ომში დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით.

ურადლება გამაზავდება ავიაციასთან ურთიერთმოქმედების სრულყოფაზე, რათა 2008 წლის მსგევად რუსმა პილოტებმა თვითმფრინვები არ დაბომბონ და საპაერო თავდაცვამ წითელკარსკვლევიანი თვითმფრინვები აღარ ჩამოფაროს.

ასევე დამუშავდება მარშის დროს კოლონის საპაერო თავდაცვის ორგანიზების, დანჯერების ელემენტების სრულყოფის, საცეცხლე მომზადებისა და სხვა სახის სტანდარტული ამოცანები.

NATO-ის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის სწავლებებიდან, საუარესოდ, რუსები სამიქელქო მო-

სახელობასთან ურთიერთობის ელემენტების გაძლიერებას შეუცდებიან.

ახალ საორგანიზაციო-სამტატი სტრუქტურაზე გადასვლის გამო ახალჩამოყალიბებული ბრივადების შესაძლებლობები სხვადასხვა კუთხით შემოწმდება.

ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის სამეუ მობრძოლო დივიზია ცალკეულ ბრივადებად დიშალა. ჩვენთვის დისლოცირებული 42-ე მობრძოლო დივიზია, რომლის ქვედანაყოფები 2008 წელს ავგისტოს ომში მონაწილეობდნენ, მუდმივ მზადყოფნის სამ ცალკეულ მობრძოლო ბრივადებად გადაკეთდა. დივიზია თუ 15 ათას კაცს ითვლიდა, თითოეული ბრივადის რიცხოვნობა 3500 კაცს არ აღემატება. სამეუ ფორმირება 1-ელ ფინის უნდა დასრულდეს.

სწავლებაში გამოყენებული იქნება ოლქის შუარალებში მდებარე Mi-28H „ღამის მონადირის“ ტიპის საბრძოლო შეუღმურენები, T-90-ის ტიპის ტანკები და შუარალების სხვა სახელები.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საზღვრებთან ჩასატარებელ მასშტაბურ სწავლებებში საფრთხის ბევრი ელემენტია. გამორიცხული არ არის, წინასწარგანზრებით თუ შეცდომით ქვეყნის საპაერო სფეროს დარღვევა, ტერიტორიულ წყლებში შემოჭრა ან სხვა სახის ინციდენტები.

რუსეთი არ აპირებს სწავლებებზე NATO-ის ქვეყნების წარმომადგენელთა მოწვევას. მიზეზად დასახელებულია სწავლების „წინხა“ რუსული მნიშვნელობა და NATO-ის მხრიდან საქართველოში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამით ჩატარებული სწავლება.

20007



რუსი ჯარისკაცის
სამიზნე — ისევ საქართველოა

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
აზრობითი ცენტრი

თეიმურ ჩაჩანიძე

კავკასიური მოვლენები

აზერბაიჯანი

● აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრომ და სამხრეთ აფრიკის რუსუბლიკის კომპანია **Paramount Group**-მა ბაქოში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის ერთ-ერთ სამაქროში **Marauder**-ისა და **Matador**-ის ტიპის ჯავშანტრანსპორტიორების ასაწვობი ერთობლივი ხაზი გახსნა. ორივე თანამედრევე ტიპის ჯავშანტრანსპორტიორია კორპუსის V-ებური ძირით, რომელიც ნაღმებისა და თეინაკუთ ფეოქებზე საშუალებათა აფეთქებას უძლებს. **Matador**-ი 8-10 სამუდროზე, ხოლო **Marauder**-ი კი — 10-12-ზეა გათვლილი. ჯავშანტრანსპორტიორების პროექტი პარტია 2009 წლის ბოლოსათვის მზად უნდა იყოს და, სავარაუდოდ, აზერბაიჯანის არმიას გადაეცემა. აზერბაიჯანი სამხრეთ-აფრიკული წარმოების შეიარაღების სხვა ნიმუშების წარმოებასაც გუგამებს და თავისი პროდუქციით თინამკობრობის ქვეყნების დაინტერესებს აპირებს.

ჩრდილო კავკასია

● ჩრდილო კავკასიაში ბოვეეკები გააქტიურდნენ. 12 მაისს ვაბარდო-ბაღვარეთის დედაქალაქ ნალჩიკის გარეუბნის ახლის სოფლების ხასაასა და ბელაია რუჩკას შორის ტყეში ბოვეეკთა ბაზა იქნა აღმოჩენილი. რუსუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ბლინდავი ერთდროულად 20 კაცს

იტყვდა. იქვე იყო 23 ტყვიამფრეკვის ლენტე 7,62 მმ-იანი ვაზნებით, ტროტილის 200-გრამიანი ორი კოჭი, სამხდრო ფორმის კომპლექტი და სხვ. საგამოსიებო ღირსისებობა ჩატარების შემდეგ ბლინდავი განადგურდა. 2009 წლის დასაწყისიდან ეს უკვე ბოვეეკთა მემკვიდე აღმოჩენილ-განადგურებული ბანაკია.

● 15 მაისს ჩეჩნეთში გროზნოში რუსუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან ტერორისტ-კამკამის თვითმკვლელობამ ორი მილიციეული იმსხვერპლა. საპასუხოდ ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა ბოვეეკთა ამისტია შეაჩინა.

● 15 მაისს ინგუშეთში, სუნჯის რაიონის ტყის მასივში ბოვეეკთა 15-კაციანი ჯგუფის ბლოკირება-განადგურების ოპერაციის მსვლელობისას ძალიერებმა 3 ბოვეეკი მოკლეს. ერთ-ერთი მოთვანი აზერბაიჯანის მოქალაქე აღმოჩნდა, ხოლო მეორე კი — არაბი ეროვნების პირად ჩათვალა. მოკვინებით გუგრკვლდა ინფორმაცია, რომ ბოში 50 კაცს ითვლიდა და იტყროის ბოლო პრეზიდენტის, დოკუ უმაროვის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. კადიროვის განცხადებით კი რაზმი 25 კაცს არ აღემატებოდა. გადარჩენილი ბოვეეკები გაიფანტნენ, ნაწილმა მოებს, სხვებმა კი თავი ტყეს შეაფარა.

● ჩეჩნეთის სოფელ უშკალიოში მცხორებმა ქალმა 13 მაისს მილიციას 182 კილოგრამი ტროტილი ჩააბრია. ჩეჩნეთში დანერგილი პრაქტიკით, ფეოქებადი მასალის 1 გრამის ჩაბრებზე 20 რუბლი, ანუ ახლანდელი კურსით 0,6

დოლარი გაიცემა. რეკორდსმენი ქალბოლი 3,5 მილიონ რუბლს, ანუ 110 ათას დოლარს მიიღებს. უმუშევრმა ქალბოლინმა რა გზით მოახერხა ამდენი ტროტილის შეგროვება, უცნობია.

კონფლიქტური რეგიონები

აფხაზეთი

● „საკართველო-აფხაზეთის აღმინისტრაციული საზღვარი დაცვის ხარისხით რუსეთის საზღვრებზე ბევრად მაღალი იქნება“, — ასეთ განცხადებებს აფეთქებ რუსეთის საოკუპაციო ჯარების წარმომადგენლები. გელის რაიონში გრძელდება საინფორმ-ტექნიკური ნაკებობათა მშენებლობა. აფხაზეთში ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს უფროსის, სანჯარ-მაიორი იური ზვირიკის თქმით, გაზღვრის 162,8 კილომეტრის პერიმეტრზე აიგება სამხდრო ქალაქები და 20 საგუმაგო ტექნიკა. საზღვრის დაცვა უახლესი ტექნიკური საშუალებებით მოხდება. გელის რაიონში, მდინარე ინგურის გასწვრივ, ადამიანის მიღელ ნივთიერე საგრებია გათხრილი და წინა მხრიდან კელიანი მაეთუღზხლორთობით არის დაცული. მესაზღვრეებს ტყვიამფრეკვისა და 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნების ზოხიცები აქვთ მოწყობილი. გელის რაიონის ათეუ საგუმაგოსთან შეუქმდებრინა მისაღები მოქონების მოზადება მიმდინარეობს. საოკუპაციო ჯარების მესაზღვრეებს **Ми-8** ტიპის შეუქმდებრინები მოქმდებრება, რომლებიც სოჭიდან, ანაპიდან და კრანსოდარის მხარის სხვა ქალაქებიდან იფრენენ.

● სუპარატისტთა ლიდერ ბალაფმის ინფორმაციით, საზღვარს 1341 რუსი და 220 აფხაზი მესაზღვრე გაკონტროლებენ. ერთობლივი გაკონტროლება 29 მაისიდან დაიწვება. ერთი საკონტროლო-გამმეკები პუნქტი ენგურის ცენტრალურ ხიდზე იმოქმედებს, ხოლო მეორე კი, სავარაუდოდ, გელის ქვედა ზონაში გაიხსნება. მესაზღვრეები განლაგდებიან სოხუმის აეროპორტში, საზღვრო პორტებსა და მდინარე ფსოუსზე. ზღვის სანაპიროზე 5 სასაზღვრო საგუმაგო გაიხსნება —

ჩრდილო კავკასია რუსეთისათვის იხვე ცხელ რეგიონად რჩება



მიმოიღვა...



ბოგირის ხიდების დანგრევით რუს მესაზღვრეებს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების იზოლირება სურთ

დასახლება სკურაში (ოჩამჩირის რაიონი), დასახლება მაჭარაში (გუგუნიფშის რაიონი), ახალ აიონში, ბეჭინათსა და დასახლება წანდრიფში (გაგრის რაიონი).

● რუსეთისთვის საზღვრის დაცვის უფლებების დელეგირებით სოხუმა ადგილობრივ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის რტიკა დამსახურა. მათი აზრით, აფხაზ მესაზღვრეთა რივი მცირდება და შეიძლება ამ სამსახურის გაუქმების დროც დადგეს. უკმაყოფილება გამოიქვეყნა აფხაზეთის დეპარტამენტის მიერ. მუჰაჯირების შთამომავალთა შეხედულებით, რა მნიშვნელობა ექნება აფხაზეთის დამოუკიდებლობის ისეთი სამოქალაქო საზღვრის დაცვას, რომელიც 140-მილიონიანი რუსეთი და 10-მილიონიანი ბელორუსია ქმნის.

● სეპარატისტული აფხაზეთის თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-პოლკოვნიკმა მერაბ ქიშპარიამ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გახეთ „კრანსა-ია ზეწყდასათვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ მაისის ბოლოს სოხუმისა და რუსეთის სამხედრო უწყებებს შორის ხელშეკრულება გაფორმდება, სადაც გათვალისწინებულია ორმხრივი თანამშრომლობა, ჯარების გამოყენების შემთხვევაში ურთიერთშეთანხმებული მოქმედებები. ქიშპარიამ მზადყოფნა გამოთქვა საპაეო თავდაცვის ერთიანი სისტემის შექმნასა და სამხედრო-საზღვაო სფეროში თანამშრომლობაზე. როგორც სეპარატისტთა თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, აფხაზეთის ფორმირებების მომზადებაში ახლა დღე მუშაობს არტილერიისა და გადა-

ტანილი. თითოეულ ქვედანაყოფს სიცვებულ მხარდაჭერის ასეული დემატა, სადაც ნაღმსატორცი და ტანკ-საწინააღმდეგო საშუალებები გაერთიანებული, ხოლო საარტილერიო დივიზიონებში ქვეშეშების რაოდენობა გაიზარდა.

ცხინვალის რეგიონი

● ე.წ. სამხრეთ ოსეთში ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ ალექსანდრე მურზინის თქმით, რეგიონში უკვე გახსნილია 6 სასაზღვრო საგუმაგო. ცხინვალის რეგიონში შემოსული რუსი მესაზღვრე-ოკუპანტების ერთი ნაწილი დაღესტანელი სამხედროებით არის დაკომპლექტებული. ფედერალური სასაზღვრო სამსახურის უფროსობის აზრით, ასე ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ენის გამოიწვევა უფრო გაადვილებდა.

ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე ორმხრივი სროლა თითქმის ყოველდღე ხდება



● რუსული მედი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში მე-4 რუსული სამხედრო ბაზა შუაიარაღებში T-90-ის ტაიის ტანკებს მიიღეს.

ყარაბაღი

1952 წლის 23 თვისის SMG-ი ვიცე-ადმირალის ნებადართული ოპერაციებიდან შესამის ჩასატარებლად ემზადებოდა. ოპერაცია №2 შეუფერებელი კლიმატური პირობების გამო ჩაიშალა, პირველ ოპერაციაში კი სამი სამხედროს დატყვევება მოხერხდა.

27 თვისის 22.00 საათზე „ბას“ სანაპიროს მინიშნულ ადგილს მიუახლოვდა. ხედვის მანძილი მხოლოდ 90 მეტრი იყო. მას შემდეგ, რაც ახლო მყოფი გემებიდან სანაპირო ბატარეებს ცეცხლი გაუხსნეს, პარტიზანთა საგანგებო დალაგებათა ჯგუფი ხმელეთზე გადავიდა. შუაღამისას ო პაკმა ორი ჯგუფი გაძყო შარავზის ბლოკირებისათვის, შემდეგ კი ყველა ერთად გაემართა იმ სფეროს მოსაძებნად, რომელიც ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა. რამდენიმე საათის შემდეგ პარტიზანები ზღვის ნაპირზე დაბრუნდნენ. მათ ხელში ჩაიგდეს საჭირო დოკუმენტები და რამდენიმე ჩრდილოკორეული მაღალჩინოსანი დაატყვევეს. უკან დახვეობას მათ ტყვიამურქვევებისა და ყუმბარსატყვიანების ცეცხლით გაანადგურეს მოწინააღმდეგის კომუნიკაციები და უდანიაკარგოდ დაბრუნდნენ „ბასზე“. მომდევნო დამით ო პაკის პარტიზანებმა

ჩაატარეს ფინალური, ძალზე წარმატებული რეიდ. გარდა იმისა, რომ ხელში ჩაიგდეს დიდი რაოდენობით საცეკები პროდუქტი, აშუნიცია, ტანსაცმელი, ჩანაწერები და რუკები, მოახერხეს ჩრდილო კორეის არმიის დაზვერვის თანამშრომლების დატყვევებაც.

ეპილოგი

დადგა დრო და ჯორჯ ატჩესონმა და ჯორჯ პაგენლამ JACK-ში თავიანთი საქმიანობის შემაჯავებელი ანგარიშ მოხსენება დაწერეს, რომელშიც გარდა ჩატარებული სადღეისო ოპერაციების აღწერისა, მოცემული იყო ადგილობრივი პარტიზანული ძალების სადაზვერუო-სადღეისო მოქმედებების ორგანიზაციის კორეული რეკომენდაციები. მოგვიანებით მათი ტაქტიკა წარმატებით გამოიყენეს ამერიკელებმა არა მარტო კორეაში, არამედ ვიეტნამშიც.

1952 წელს კრამერ ატჩესონმა და პაგენლამ ფსადაულებელი სამსახური გაუწყეს ამერიკის სამოქალაქო ადმინისტრაციის დეპარტამენტს, რომლის პერსონალიც სასწრაფოდ გაწერნა ცენტრალურმა სადაზვერუო სამმართველომ და კორეაში გაგზავნა.

მოგვიანებით ატჩესონი და პაგენალი ფრონტის მიღმა სადღეისო ოპერაციებს პუსანის აღმოსავლეთით მდებარე ავიაბაზა K-9-დან ხელმძღვანელობდნენ. ომის დამთავრების შემდეგ ორივე მათგანი ცენტრალური სადაზვერუო სამმართველოსთვის გაწეული სამსახურისათვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჯვრითა და ვერცხლის ვარსკვლავით დააჯილდოეს.

ანტისნაიპირები



მათ მხოლოდ კოლეგები იცნობენ. მიუხედავად ამისა, როცა მაინც გამოჩნდებიან ყველგანმყოფი ჟურნალისტების გადაღებულ ფოტოებსა თუ ვიდეოფორუმზე, მათი ცნობა მაინც შეუძლებელია, რადგან სახს შავი ნიღბებით იფარავენ. ისინი ანტისნაიპირული ელიტური ჯგუფების წევრები არიან, რომელთა ამოცანაც „დაცულ სუბიექტზე“ თუ „ობიექტზე“ თავდასხმის განხორციელებაა. ისინი სამსახურზე საუბარს გაურბიან, ხოლო თუ მაინც მოგვითხრობენ რამეს, მხოლოდ ზოგადად, წვრილმანების, გვარებისა და ადვოკატების დასახელების გარეშე ქვემოთ სწორედ ასეთი კაცის მონახობის შემოთავაზებში ბატონი X-ი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის სპეცსამსახურის წევრია და დარწმუნებული ბრძანებულებით მისი ნაამბობი მხოლოდ იმ მონაცემებს შემაჯავბს, რისი გახშირების უფლებაც ზემდგომებმა მისცეს.

„ჩვენი სამუშაო გაცილებით ადრე იწყება, მანამდე, ვიდრე მასობრივ დონისიბეგებში მონაწილე ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელი პირების დასაცავად სახლების სახურაულებზე განლაგდება.“

როცა დასაცავი პირის (N1) ხალხთან შეხვედრის ადგილმდებარეობა გაირკვევა, საგანგებო სამსახურების ოპერატიული თანამშრომლები იკვლევენ და აანალიზებენ მოცემულ ტერიტორიას. ამ დროს დადაგენენ ხოლმე ჩვენთვის მიხერხებულ პოზიციებს. როგორც წესი, ეს არის ყველაზე მაღა-

ლი შენობები. ჩვენ ომის პრინციპით ემოქმედებთ „დეიერია ის, ვისი პოზიციაც უფრო მაღლაა“. ოპერატიული თანამშრომლები ადგენენ ისეთ პოზიციებსაც, რომლებიც ბორტგანმზრახ-ნებისთვის იქნებოდა ხელსაყრელი. სნაიპერებისათვის ხელსაყრელი ბინების მცხოვრებთ უტარდებთ გამოკითხვა. ღებნდება, თუ ვის შეუძლია პირტყვიური მონაწილეობა თავდასხმაში.

ამდგროვლად მუშაობენ ანალიტიკოსები, რომლებიც მოვლენათა გავითარების ვარიანტებს განიხილავენ და აუღნიენ მათ, ვისაც თავდასხმის ორგანიზება შეუძლიათ.

მიღებული მასლით ადგენენ დაუცველ ან ნაკლებად დაცულ ადგილებს, პირტყვიურ სახეითი მიმართულებებსა და სასრილად გარგის სექტორებს. დგება საგანგებონიშნულებიანი სქემა, რომელზეც მითითებულია „განსაკირებული ურადლებების ზონები“. გარდა ამისა, გვირგვინებ იმ პირთა ფიქროსურობათებს, რომელთა დონისიბეგებზე გამოჩნაც არცთუ უხეიფით იქნებოდა. რა თქმა უნდა, მათი ლაკიდაცია ხალხში, უკირფრესად არასასურველია, მაგრამ ნებისმიერ ჩვეულებას, როცა ასეთ პირიუნებას ოპტიკურ სამინიშნოში ან ჭოვრიფით დავინახავთ, გვაქვს სამუალება მათი ადგილსამყოფელი რაციით ვაცნობთ მასში გამწლდ ოპერატიული შემკაუბს. სქემის შესწავლის შემდეგ რეკონსიციერებაზე გავდვიტობ. ვითვალისწინებთ და ვზუსტებთ საკუთარ პოზიციებს. ყოველივე უწყრად, მოქალაქეთა ურადლებს მიქცევის გარეშე ტარდება. ერთ მშენიერ დღეს, რომლის

რიცხვი და საათი ყველათვის უცნობაა, ტარდება დამატებითი ინსტრუქტაჟი და რაზმი მოცემული ოპერაციით შესასრულებლად გადის. იმის გითვალისწინებთ, რომ მოქალაქეები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ყოველივე არაჩვეულებრივის მიმართ. სპეცრაზმულები ადეკვატურ კონტროლობის მიმართევენ. მაგალითად, იარაღ ერთობ უკიდურეს შემთხვევაში გადააქვთ გამოსვლებული. ჩვეულებრივ მათ გადასატანად სპეციალური ჩანთები იხმარება. ტანთ უღმდამო, არაფრით გამოირჩეულ მაძის იცვამენ. რაც შეეება შენობების საფლად სართლებზე მცხოვრებ მოქალაქებს, მათთან წინასწარ ატარებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რათა ოპერაციის დროს სამართლდამცველი ორგანიზაციის თანამშრომლებს არ გამოუძახონ და დავალების შესრულებაში ხელი არ შეუშალონ.

ანტისნაიპირული რაზმები ყოველთვის წველებლად არის დაყოფილი, რაც საშუალებას იძლევა, ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგად დადლილი სპეცრაზმული მეთორმე უმტკიცეულოდ შეცვალოს და დასვენების საშუალება მისცეს. დასვენება კი იმამო გამოიხატება, რომ მოვალეთვალა შეუძლია მუერა მოაშოროს კონკრეტულ სექტორს და თვლი გარემოსაც მოყოლოს.

ანტისნაიპირების მთავარი ამოცანა თვალთვლი და დაკვირვებაა, იგი ყოველთვის, რასაც თვის სექტორში აკვირდება, ექვსი თვალთი უნდა უყურებდეს. იდეალურ შემთხვევაში მან თვისი თვლი მონიხრადმდგის ადგილზე უნდა წარმოიგინოს და დასვას შეეცაფა როგორ მოეიტკიოდ ამ კონკრეტულ სიტუაციაში? ასეთ შემთხვევაში უფრო დაკვირვებით დაუწყებს ექვსის მონიხრადმდგე მხარეს აღმართული სახლის ჩანქელეულ სხეფს, ამინდასათვის შეუფერებლად დროს საეჭვიო გაღებულ ფანჯარას, პრბოს შუჭრილ მანქანას, რომლის მძღლიც თავხელორად ცილობს ხალხში გაეფას, სწორედ იმ დროს, როცა დასაცავი ობიექტი დათქმულ ადგილს უახლოვდება. ყოველივე ამას რაციით გადასცემ ოპერაციის ხელმძღვანელს და რამდენიმე წუთის შემდეგ ვაცნობებენ, რომ საეჭვიო ჩანქელეულ სხეფს შემოქმეფულია. შემდეგ კი ხედავ, როგორ სწრაფად იხურება საეჭვიო ფანჯარა, თავგამოიფეული მძღლი კი ვიღაც „მოქალაქეებს“ თავის მანქანაანდ გააკავთ დაკვირვების სექტორიდან. და აი, გამოჩნდა „ობიექტი“, რომ-

ქალი დახადებული ჯარისკაცად თანაბეროვნე გათე-ბიჭი

ლის დაცვაზე გვეკავია. გადმოვა თუ არა
ფი დაჯერებული ავტომობილიდან, ჩვე-
ნი ყურადღება იმწამსვე ათმაგდება. ამ
დროს შინი სექტორი ოპტიკური სამიზ-
ნის თვალთახედვის ტოლ ნაწილებად
უნდა დაყო და მათი დინჯად და ყურა-
დღებთ დააკვირდე.

ერთხელ ვეკვარ და ჩემს სექტორს
ვაკვირდებო. უცებ ვუხადე ნელ-ნელა
ილება მოწინააღმდეგე მხარეს მდგომი
სახლის ფანჯარა და მასში რაღაც ბიჭ-
ყვალა გამოჩნდა. ჭოგურატი! რაციას
ვეცი, რათა შეთაურისთვის მომქსენე-
ბინა, მაგრამ ბოლო მომქსენო შეყნი-
შე, რომ ჭოგურატი ათიოდე წლის ბიჭს
ეკავა. რა ცნობისმოყვარე ბიჭუნაა ყო-
ფილხარ და რა კარგი დრო ამოვიტრე-
ვა „პირველის“ დასათვალთვინებლად?
ძლივს მოვახერხე ამის გაფიქრება, რომ
ბიჭს ვივლი შეპარა უჩინადან. ალბათ
მამა იყო. ჭოგურატი ხელიდან გამო-
კვლიჯა და ხასწრაფოდ მიხურა ფან-
ჯარა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბიჭი
ჯერ გამჭვირვალე ფარდამ იხსნა, მერე
კი ჩემს ცეცხისხლიანობამ... ჭოგურატი
გამზინებლისანავე, რომ არ გავისროლე.

შორეულერ ჩემი ყურადღება მიპაერო
პირიქებამ, რომელსაც ხელში რაღაც
ხვეულა ეკავა. ერთი მხრე რაკი წინა-
ღია გაიარა, მასთან დაკავშირებით ვე-
ლაფერეც წესწავნა, ვითაქვე მე. შორე
მხრე კი უცნობი თავის ტვირთიანად,
რაღაც განსაკუთრებული მიზანდასხუ-
ლობით მიიწვედა მიუვარი ტრბოუნსაკ-
ქ. რაკით ვაცნობე ვითარება შეთაურს,
სავეკო სუბიექტს სამიზნეში ვაქცევ და
მდგომარეობას ვაანალიზებ. ვხვდები,
რომ სანამ ფი №1-ისგან საკმაოდ შორს
იმყოფება, რომც მოინდომოს თავისი
ტვირთის სროლა, მიუვარ ტრბოუნამდე
მინც ვერ მიაღწევს. თუ ბრძანება შექნე-
ბა, მას სროლის უფლებასაც არ მივცემ.
ამაღობაში სამიზნეში ვხვდები, ჩემს
რჩეულს ყინულმჭკრელივით როგორ
ეჯახება ერთბაშად რამდენიმე „მო-
ქლაქე“ და თავის ტვირთიანად ბრბოდან
გამოკეცივთ ყოველვე ისე სწრაფად მიხ-
და, რომ სანახაობის წყურავლით აღტყ-
ინებულმა ბრბომ ვერაფერი შეამჩნია.
მოკვანებით გაიკეცა, რომ ეს კაცი
ერთ-ერთი საზოგადოებრივი მოძრაობის
ხელმძღვანელი იყო. თვითი ხვეულა კი
თურმე №1-ის გამოსახულებიან
პლაკატების შექმერა იყო, რომლის
დარეკებასაც ფი ტრბოუნასთან ახლოს
მდგომი აქტივისტებისთვის აპირებდა.

ანტისინაიერის სამუშაო მიუარდ-
ება, რაკა დასაცავი „ობიექტი“ დაჯავ-
შნულ ავტომობილში ჯდება და მიდის.
ამის შემდეგ მის სიცოცხლეზე ჩვენ პა-
სუხს აღარ ვაგებთ ჩვენი ფუნქცია უკვე
შესრულებულია. ახლა მიუვარა შეუ-
წყნელად გაეკრეთ პოზიციებიდან“...

შეიარაღებულ ძალებში მხედრე-
ლი სულის ამაღლება რომ ნების-
მიერი ქვეყნის გენერალიტეტი-
სთვის ერთ-ერთი უმთავრესი სა-
ზრუნავი იყო და არის, თქმა რად
უნდა? ბუნებრივია, ასეა ჩვენს ქვეყ-
ანაშიც – სამხედრო თემაზე კეთ-
დება გადაცემები, სარეკლამო თუ
მუსიკალური კლიპები. სხვადასხ-
ვა საშუალებით დღენიადაგ ხდე-
ბა ისტორიული თუ თანამედროვე
გმირების წარმორჩენა, რათა საე-
მაციონი და შესაბამისად, სამავა-
ლითონი იყვნენ ერისთვის და აღ-
ბათ, ეს ყველაფერი ამართლებს
კვიდე მიზანს. თუმცა, ამჯერად
ჩემში პატრიოტისა და მებრძო-
ლის სული, როადენ გასაკვირიც
უნდა იყოს, ახალგაზრდა და საე-
მაციონ მომხიბვლელმა **თამუნა
ბასისტაშვილმა** გამოაღვიძა და
გადავწყვიტე. ეს ემოცია შენ-
თვისაც გამეზიარებინა. ვინ არის
თამუნა? წარმოიდგინე, მაია
წყნეთელი 21-ე საუკუნის საქარ-
თველოში... სულაც არ ვხერმობ!



„მთავარი, მსხვერპლს თვალეში არ ჩავხედო“



ის სამხედრო მოსამსახურეები, რომ-
ლებიც ბოლო დროს ევაზიანის მეთოც
ქვეით ბრიგადაში მსახურობენ, დღესაც
ღამბლით იხსენებენ მათ ნაწილში მყოფ
ერთადერთ მსროლელ გოგონას,
რომელიც ვაჭკაცებზე მეტი თუ არა,
არანაკლები მონღოებით უყვლებოდა
სამხედრო საქმეს. აუდარსა თუ პაპანაქე-
ბაში, ტლახასა თუ ცხელ ქვიშაში ბიჭ-
ბის მხარდამზარ ვარჯიშობდა და სხე-
ბით სასტიკ კარანტინს გადიოდა.
თამუნას მიზანი მთელი ბატალიონ-
ისთვის იყო ცნობილი – ჯარისკაცური
ცხოვრების პირველი გაკეთილების გე-
ლის შემდეგ სწავიბოდა რაზმში მოხე-
დრაზე ოცნებობდა.

თამუნა, შენვე რომ მიამბეს,
მაშინვე გავიფიქრე, ვიღაცედა გულ-
მოსილი და შურის საძიებლად სწაი-
პურის პროფესიის დაუფლება სურს-
მეთქი. აბა, სხვის რა მივანერო,
რომ მანდაუნდების პროფესია უარყვი,
სკოლა მიბოვდე და ჯარისკაცის
ფორმა ჩაიცვი?

**„მაკიფი“ ქალ
 ჯარშიც ჩირბება...**



ლის შეთარება, უფროსმა ლეიტენანტმა გეგმაზე დამხმარა და მკითხა, თუ შევძლებდი ასეულის მორიგე გასვლას. სხვათა შორის, მისი დღემდე მადლიერი ვარ, ყოველთვის მხარში მედგა. სიხარული დავიანხნდი მის წინადადებას, გულდასმით შევისწავლე შედეგებისა და მორიგის მოვალეობა და შევუდექი საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ გოლო ვიყავი, დაეღუპას თავს კარგად ვართმევდი — უფროსობაც და ასეულიც კმაყოფილი იყო ჩემი ვარჯიში.

ყველაზე ბედნიერი ვიყავი მამან, როცა ჯგუფში შედივარ და ჩაფხუტში გამოწყობილი პოლიგონზე სროლაში სურათში მყოფი ვიყავი წინა დღეს შეიარაღების სერჟანტს გვერდიდან არ უშორდებოდი და ვუძმარებოდი ხოლმე აიარაღის გამზადებაში, ტყვიებში დათვლაში. აიარაღის საწყობში ყოფნა განსაკუთრებით მიყვარდა.

ჩემი ბედნიერება 2008 წლის გაზაფხულზე დასრულდა. ჯერ იყო და, მეთაურობა შეიცვალა, ახალმა ასმეთაურმა კი ვერ გააცნობიერა, რომ მე იქ ჯარისკაცი ვიყავი და არა ქალი და კაბინეტურ სამუშაოზე დამიბარა გადაკვანა. იმავე პერიოდში შეიარაღებულ ძალებში საკადრო ცვლილებები დაიწყო და შემცირებებში მეც მიყვევი. იმ დღიდან ძალდონე არ დამიშურებია, რომ ისევ ჯარში დავრჩეხუბნებოდი, მაგრამ ამჟამად... ზაფხულში ავადსახსენებელი იმი დაიწყო სამაჩაბლოში.

— ომში წახვალა გინდოდა?

— როგორც კი გავიგე სამაჩაბლოში საბრძოლო მოქმედებების დაწყებისა და მობილიზაციის ამბავი, მამსვე კომისარიატში გავიქეცი, მონახილეთია რიგებში მინდოდა ჩაწერა. კომისარი არ დამხვდა. ამჟამად ვცდილობდი მასთან დაკავ-

შირებას. თავდაცვის სამინისტროშიც მივედი, ვისაც კი ვიცნობდი, ყველა შევეჩუქე, თქნებ დამხმარით და ომში გამიმუთათ-მეთით, მაგრამ არაფერი გამელოდა... შემდეგ კი, მოგახსენებთ, ჩვეულება უკან დაიხიეს.

— ფრონტის ხაზზე მინც სად წარმოგედგინა საკუთარი თავი?

— რა თქმა უნდა, მეტრბოლთა რიგებში, მე ხომ ჯარისკაცი ვარ?!

— და ფიქრობ, რომ ერთ დროს

მასწავლებელი ქალი ისე მოვლავდი მტერს, რომ ხელი არ ატიკანკალდებოდა?

— როცა სამშობლოს დაცვა საჭირო, ჯარისკაცმა ყველაფერი უნდა შეძლოს. თუკი საურაულო მსხვერპლს თვალეუბში არ ჩავხვდავ, ვფიქრობ, ხელი არ ამიკანკალდება!

— თვალეუბში ჩახედვას რამც ემოციური ეფექტი აქვს?

— თვალეუბი ადამიანის სულის სარკეა, სავად მისი პიროვნება ჩანს. ადამიანის მოკვლა უფრო ადვილია, ვიდრე — პიროვნების.

— ქეშმარიტად სნიპერის პასუხია ეს ხუმრობით, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენს შეიარაღებულ ძალებში შენაირი მეტრობილი სულის მქონე ადამიანის არყოფნა დიდი დანაკლოა.

— ჩემთვის მთხანი სიცოცხლეზე მეტია. არ გაუჩერდები, სანამ მთხანს — გეხდეს სნიპერი და ვესახსურო ჩემს სამშობლოს — არ მეფაღწე. იმედი მაქვს, მალე ისევ ჩავიცივამ ჯარისკაცის ფორმას, რომლის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოიფიცვინა. თავდაცვის სამინისტროს უწყებებში განაცხადი შეტანალი მაქვს და ყოველ წელს ევლოდები შეიარაღებულ ძალებში მცვევას...

მელა უშარიძე



საზღვაო კომპანიები



სატრანსპორტო კომპანია
Lewis and Clark

ჩ3060 დონი: Lewis and Clark-ი საბრძოლო მასალების და სხვა ტვირთის გადაზიდვით სპეციალურად პორტო გემია, რომელიც მწვობარში 2006 წლის 20 თვის ჩადგა. გემის წყალწვევა 41 ათასი ტონა, სიგრძე კი 210 მეტრია. მაქსიმალური სიჩქარე 20 კვანძს აღწევს. ეკიპაჟი სამოქალაქო მუშაკთაგან შედგება და 123 კაცს ითვლის. გემი შეიარაღებული არ არის. 2009 წლის თებერვლიდან ერთხანს გემი მცურავი ციხის მოვალეობას ასრულებდა, სადაც დაკავებული სომალელი მეკობრეები იხსნდნენ.

6 მაისს სომალის აღმოსავლეთ სანაპიროსთან სომალელ მეკობრეთა ორი გემი ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტის სატრანსპორტო გემის T-AKE 1 Lewis and Clark-ის დაკავება შეეცადა.

მეკობრეებმა ამერიკულ გემს რამდენჯერმე ცეცხლსასროლი იარაღი ესროლეს. ამერიკელმა მუშაკებმა სომალელ მეკობრეთა გამოწვევა არ მიიღეს. გემის სიჩქარე გაზარდეს და მეკობრეები ჩამოიტყუეს. ზღვის ყანალებმა ამერიკელებს კიდევ ერთი საათი სდიეს, მაგრამ ერთ მიწზე ახლოს (1852 მეტრი) მიახლოება ვერ მოახერხეს და ღვემა შეწყვიტეს.

მაისის პირველ ნახევარში სარემონტო სამუშაოები დასრულდა რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტის ატომურ წყალქვეშა ნავ „ნერპაზე“ (პროექტი 971 „შუკა“), რომელსაც 2008 წლის ნოემბერში ავარია შეემთხვა.

ამერიკის გემოსაშენი ქარხნის დირექტორის თქმით, წყალქვეშა ნავის ყველა სისტემა ტექნოლოგიურად ად-

გენილია და 2009 წლის ბოლოსათვის გამოცდა დასრულდება. პარალელურად მომზადებას აგრძელებს ხომალდის მიმღები ახალი ეკიპაჟი. „ნერპას“ ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს გადასცემენ.

აჟარა ხომალდს 2008 წლის 8 ნოემბერს, იაპონიის ზღვაში რემონტის შემდგომი გამოცდის დროს შეემთხვა, როცა ხანძრის ჩაქრობის სისტემამ არასანქცირებულად იმუშავა და ნაკეთობები ფრეონით შეივსო. აჟარამ 17 სამოქალაქო პირი და 3 სამხედრო მუშაკური იმსხვერპლა.

გაუფრთხილებელი მკვლელობის მუხლით ბრალი მატროსს წაუყენეს, რომელმაც მცირე ნაკვეთებში ტემპერატურის პარამეტრები თვითნებურად შეცვალა. მატროსი გამოძიების პროცესში შეურაცხად გამოცხადდა.

„ბალტიის ზღვაში 4 მაისს ჩაყარდნოლი **Ka-27** ტიპის შვეულმფრენის ფსკერიდან ამოღების ოპერაცია დასრულდა“, — განაცხადა ბალტიის ფლო-

ტის სარდლის მოადგილემ, ვიცე-ადმირალმა ვასილი აპაროხინმა.

ამოწვევის ოპერაცია 28 მეტრის სიღრმეში შესრულდა აჟარის მსხვერპლის დასადგენად შვეულმფრენს ექსპერტიზა ხმელეთზე უტარდება.

ოპერაციაში მცურავი ამწე და ბალტიის ფლოტის 3 გემი მონაწილეობდა მეკინთავებმა შვეულმფრენის ქვეშადაცხადებები გაატარეს, მარყუჟი შეკრეს და 11 ტონაზე მეტი წონის **Ka-27** მცურავმა ამწე ამოწია. კარგ ამინდში ასეთი ოპერაციის ჩატარება ძნელი არ არის, მაგრამ იმ პერიოდში ბალტიის ზღვაში ძლიერი ქარი ქროდა და ცუდმა კლიმატურმა პირობებმა ოპერაცია საკმაოდ გაართულა.

მაისში გასული საუკუნის ერთ-ერთ დიდ საზღვაო კატასტროფას 95 წელი შეუსრულდა. 1914 წლის 29 მაისს კანადური კომპანია **Canadian Pacific Steam ships**-ის სამეზაგრო ლაინერ **Empress of Ireland**-ს (წყალწვევა 14191 ტონა, სიგრძე 174,1 მეტრი), რომელიც კანადა-ინგლის მიმართულებით რეისებს ასრულებ-

ატომური წყალქვეშა ნავი „ნერპა“



ჩვენთვის ავიასია



ჩვენთვის პირველი პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი

1991 წლის 27 ოქტომბერს ჩვენთვის რუსუბლაკის მოსახლეობამ პრეზიდენტად ჯოჰარ დუდაევი აირჩია. ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა იმავე წლის 1-ელ ნოემბერს რუსეთის ფედერაციისაგან ჩვენთვის რუსუბლაკი იქერიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ჯოჰარ დუდაევი 1962 წლიდან საბჭოთა არმიამაში მსახურობდა, კარიერის ბოლოს გენერალ-მაიორის წოდებას მიაღწია. შეთაურობდა საბჭოთა სტრატეგიული ავიაციის 326-ე მძიმე ბომბდამშენთა საავიაციო დივიზიას, რომლის შტაბი ესტონეთში, ქალაქ ტარტუში მდებარეობდა. დივიზიის პილოტები Ty-22M3 ტიპის შორეული მოქმედების ზეგვერთი ბომბდამშენებით დაფრინავდნენ. ერთ-ერთი ასეთი ტიპის თვითმფრინავი ქართულმა საჰაერო თვდაცვამ 2008 წლის აგვისტოს ომში ჩამოაგდო.

როგორც პროფესიონალი სამხე-

დრომ კარგად იცოდა, რომ ჩვენთვის დამოუკიდებლობის გამოცხადებით მოსკოვს დაუპირისპირდა, რუსეთის იმპერიისაგან პატარა ქვეყნის გამოყოფა გარდაუვალ ომს ნიშნავდა, ამიტომ დუდაევმა ჩვენთვის თვდაცვისუნარიანობის ასახადლებლად რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

პრეზიდენტის 1991 წლის 8 ნოემბრის №2 ბრძანებულებით შეიქმნა სამხედრო სამინისტრო და ყველა სამხედრო ფორმირება, დაქვემდებარების მიუხედავად, სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა.

იმვე წლის 24 დეკემბერს მიღებული კანონით თვდაცვის შესახებ ჩვენთვის საჯაროებულო-სამხედრო სამსახურის სისტემა ამოქმედდა.

მომდევნო ნაბიჯი ქვეყნის ტერიტორიიდან რუსული ჯარების სწრაფად გასასვლელად გადაიდა. სპეციალურად 1991 წლის 27 ნოემბერს მიღებული ბრძანებულებით ნაციონალიზაცია ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის არმიის ნაწილების შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკას შეეხო.

რუსები ნებით არაფერს თმობდნენ და იარაღსა თუ სამხედრო ტექნიკის ხელში ჩაგდებას მზნით თვდაცვლები რუსეთის არმიის სამხედრო ქალაქებსა და ნაწილებზე არცთუ იშვიათი იყო.

დაძაბულობის შესაჩერებლად რუსეთის მაშინდელი თვდაცვის მინისტრ პაულ გრაჩოვის 1992 წლის 28 მაისით დათარიღებული #316/0308ს დირექტივის შესაბამისად ჩვენთვის რუსუბლაკის ტერიტორიაზე დისლოცირე-

ბულმა რუსეთის არმიის ნაწილებმა შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის 50% ჩვენთვის სამხედრო უწყებას დაუთმეს. ბოლო რუსმა ჯარისკაცმა იქერაა 1992 წლის 8 თვისს დატოვა.

რეალურად ჩვენებს ბევრად მეტი შეიარაღება დარჩათ, რადგანც სხვადასხვა დროს რუსებმა დიდი რაოდენობით იარაღი მუქარის გამო დაიოქმეს, დაკარგეს ან გაყიდეს.

დუდაევის არმიას გადაეცა რამდენიმე თვდაცვითი ჯგუფსანსტანკო ტექნიკისა და საარტლერიო შეიარაღების ერთეული, 50 ათსხე მტვი ცეცხლსასროლი იარაღი, 150 ათსამედ ხელუქმბარა, 27 ვაგონი საბრძოლო მასალა და სხვ.

ჩვენი დონი: ორადგილიანი სასწავლო-საწვრთნელი L-29 „დედფინის“ მაქსიმალური საფრენისნო მასა — 3540 კილოგრამა, სიჩქარე — 820 კმ/სთ-ში, ფრენის სიშორე — 900 კილომეტრი, ფრენის ჭერი — 11500 მეტრი, საბრძოლო დატვირთვა — 200 კილოგრამამდე; ორადგილიანი სასწავლო-საწვრთნელი L-39 „ალბატროსის“ მაქსიმალური საფრენისნო მასა — 4700 კილოგრამა, სიჩქარე — 761 კმ/სთ-ში, ფრენის სიშორე — 1650 კილომეტრი, ფრენის ჭერი — 12000 მეტრი. თვითმფრინავის მოდიფიკაციის მიხედვით საბრძოლო დატვირთვა — 500-დან 1290 კილოგრამამდე აღწევს. შეიარაღების სატარებლად 4 წერტილი აქვს. შეიძლება იარაღს მოვიწოდებ გამოყენება.

ჩვენებს ძალიან ბევრი მოძველებული L-29 „დედფინი“ დარჩათ



ჩიხიძე დონიძე: AH-2, ალბა

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თვითმფრინავია და 1947-92 წლებში 18 ათასი ცალი დაზარადა. გამოდიოდა სასოფლო-სამეურნეო, სანატარული, სატრანსპორტო, სატრანსპორტო-სამგზავრო, სატრანსპორტო-სადესანტო და სხვა დანიშნულების. ეკიპაჟი 2 კაცისაგან შედგება, დატვირთვა 1500 კილოგრამი ან 12 მგზავრი, საკრეპიერო სიჩქარე — 150-190 კმ/სთ-ში, მაქსიმალური ფრენის სიმაღლე — 990 კილომეტრი, პრაქტიკული ჭერი — 4500 მეტრი, მაქსიმალური საფრენის სიჩქარე — 5500 კილოგრამი, საწვავის რაოდენობა — 1240 ლიტრი.

1992-93 წლების აფხაზეთის კონფლიქტში AH-2 ფართოდ გამოიყენებოდა



მწელი სათქმელია, რუსმა სამხედროებმა შეარაღების ასეთი დიდი რაოდენობა შეინახეს და დამოკიდებული იყო მთელი მოსკოვის მიხედვით. მოსკოვი იმის საფრთხეს მოსკოვიც ხედავდნენ და ამით საქმეს რომ იმთავობდნენ, ესეც ცხადი იყო. ძალიან ძალე ჩეჩენთა დატოვებული იარაღი გაუკასიურ კონფლიქტებში გამოიყენდა.

ფრინავი და 28 სასოფლო-სამეურნეო ავიაციის AH-2 დაუტოვა. მოსკოვის „გულუბნობით“ ჩეჩენთა ხელმძღვანელებმა მოქცელებული და ამასთან, მრავალიცხვენი საავიაციო პარკი უამრავ პრობლემასთან ერთად მიიღო.

რუსული წყაროები კი წერდნენ, რომ დუდაევმა 40-მდე ჩეჩენი საავიაციო ტექნიკის ასათვისებლად თურქეთში გაგზავნა, რაც თავიდანვე ნაკლებდასაჯერებელი იყო.

დუდაევს რუსმა სამხედროებმა უზარმაზარი საავიაციო პარკი დაუტოვეს, რომელიც გაუკლებარი მიხედვების გამო რატომღაც შუაზე არ გაიყო.

სასწავლო-საწვინელი თვითმფრინავებით საბრძოლო დაუკლებების შესრულება გადაკეთების გარეშე შეუძლებელი იყო, რაც შესაბამისი შეარაღებასა და საავიაციო საბრძოლო საშუალებების მოითხოვდა.

თვითგაცოცხადებული სახელმწიფოს ათუვლობით მოქალაქის სამხედრო მომხაზება წერქეთისათვის, როგორც NATO-ს წევრი ქვეყნისათვის, პოლიტიკურად სახიფათო ნაბიჯი იქნებოდა.

გროზოდან 7 კილომეტრის დაშორებით, დასახლება ხანკალასთან ამავე სახელწოდების ავიაბაზა, სადაც სტავროპოლის მფრინავთა უმაღლესი საავიაციო სასწავლებლის 382-ე სასწავლო-საავიაციო პოლკის ტექნიკა იყო განთავსებული.

შეორე პრობლემას მფრინავების ნაკლებობა წარმოადგენდა. არსებული მონაცემებით, ჩეჩენებს 41 მფრინავი ჰქონდათ ისინი იყვნენ თადარიგიდან გამოძახებული პენსიონერები, სამოქალაქო ავიაციის მფრინავები და საფრენისონი საქმის საწყისი გამოცდილების მქონე პირები.

უფრო დამაჯერებელია ჩეჩენთა ავიაციის მფრინავ-ინსტრუქტორად აიამდე უზღუდური კრეფების პირის სამსახური. იმ პერიოდში საბჭოთა არმიის მრავალი საავიაციო ნაწილი დაიშალა და უმუშევრად დარჩენილმა ბევრმა პროფესიონალმა მფრინავმა სამსახურისათვის ცხელ წერტილებს მიაშურა.

„ხანკალას“ აეროდრომზე ჩეჩენებს სხვადასხვა დანიშნულების ათუვლობით ავტომობილთან ერთად ჩეხოსლოვაკიური წარმოების სასწავლო-საწვინელი ირადგილიანი 72 L-39 „ალბატროსი“ და 69 L-29 „დელოფინი“ დახვდათ.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ „კალინინისკაას“ ბაზაში დაჩქარებული ტემპებით მომზადებას ასამდე კურსანტი გადიოდა.

პრეზიდენტმა დუდაევმა ავიაციის სარდლად საბჭოთა სამხედრო-საპაერო ძალების მაიორი ხაირუდი ვისეგუერიევი დანიშნა, რომელიც მანამდე ერთ-ერთი საავიაციო ქარხნაში მფრინავ-გამომცემლად მუშაობდა.

შეორე ავიაბაზა „კალინინისკაა“ — „დოსაავის“ გროზნოს სასწავლო-საავიაციო ცენტრს ეკუთვნოდა. რუსებმა აეროდრომზე მრავალფეროვანი საავიაციო ტექნიკა დატოვეს: სასწავლო-საწვინელი 39 L-39 „ალბატროსი“ და 80 L-29 „დელოფინი“, 3 ძველი ავიაგამანადგურებელი მიგ-17, 2 სასწავლო-საწვინელი მიგ-15 უტი, მსუბუქი მრავალმხრევი დანიშნულების ბიბლანი 6 AH-2 და მი-8 ტიპის 2 შეუქმდურენი.

ჩეჩენთაგან გამოფრენილი L-39 „ალბატროსი“ ახლა სემპარატისტულ აფხაზეთის ემსახურება



ჩეჩენთა დედაქალაქის აეროპორტ „გროზნი-სევერნიში“ რუსულმა „აეროფლოტმა“ დუდაევს 1 Ty-154B-2 და 6 Ty-134A ტიპის სამგზავრო თვით-



გროზნოს აეროპორტი „გროზნი-სევერი“ რუსული დაბომბვის შემდეგ



ერთხანს ჩეჩნეთის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსის თანამდებობაზე საბჭოთა საჰაერო ძალების ყოფილი პოლკოვნიკი და ჩეჩნეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი ვისჰან შაჰაბოვი იმყოფებოდა.

ჩეჩნეთის აჯიკიამ 1992-93 წლების აფხაზეთის კონფლიქტში და განსაკუთრებით პირველ თვეებში არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა, როცა

აფხაზი სეპარატისტები იარაღის, საბრძოლო მასალებისა თუ გამოცდილი სამხედრო კადრების შესაძენე ნაკლებობას განიცდიდნენ.

პირველად 1992 წლის 27 აგვისტოს სოფელ ლინჩის (გუდაუთის რაიონი) მახლობლად ჩეჩნეთიდან გადმოფრენილი AH-2 ტიპის 2 ბიპლანი დაჯდა და ამის შემდეგ მსგავსა რეისებმა ლამის რეგულარული ხასიათი მიიღო.

ჩრდილო კავკასიიდან გადმოფრენილი AH-2-ები დასასწლომად სოფელ ჯგურდასთან (ოჩამჩირის რაიონი) და ფსხუსთან (სოხუმის რაიონი) მოწოდებულ გრუნტის აეროდრომებს, გუდაუთა-ახალი აიონის გზის სწორ მონაკვეთებს იყენებდნენ.

ჩეჩნეთიდან აფხაზეთამდე მანძილს — 450-500 კილომეტრს AH-2 დაახლოებით 4-4,5 საათში ფარავდა.

ასეთი რეისებით შემოდიოდა იარაღი, საბრძოლო მასალა, შემოდიოდნენ ჩრდილოკავკასიელი ბოვეიკები. რუსეთის საჰაერო თავდაცვა სახელმწიფო საზღვრის დარღვევებზე რეაგირებას არ ახდენდა. მოსკოვი თავის საქმეს ჩეჩნების ხელით აკეთებდა.

1992 წლის ადრეულ შემოდგომაზე აფხაზმა სეპარატისტებმა ჩეჩნეთიდან ოთხი AH-2 მიიღეს და ბომბდამშენებელ გამოყენება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ.

ჩეჩნების მომდევნო საავიაციო დახმარება 1992 წლის ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბრის დასაწყისში შედგა და აფხაზ სეპარატისტთა განკარგულებაში 4 სასწავლო-საწვრიანი L-39 „ალბატროსი“ გადავიდა.



ყველა თაობის საყვარელი გაზატი 1934 წლიდან



**სისწავლო-სანვრთნელი
 L-39 „ალბატროსი“**



უცნობია, თვითმფრინავები ჩვენებმა აფხაზეტს საბრძოლო მოქმედებებისათვის გადაკეთებული გადასცეს თუ მოდერნიზაცია ადგილზე, აფხაზეტში ჩატარდა.

„ალბატროსების“ გადაცემის თაობაზე გაურკვევდა ინფორმაცია, რომ თვითმფრინავები მთიულ ხალხთა კონფედერაციამ იყიდა, რაც დაუჯერებელია. ჩვენებს III „ალბატროსი“ დარჩათ და გაყიდვის აუცილებლობა არც კი იყო.

დუდაეცს აფხაზეტში სამგზავრო Ty-134-ების გამოყენებაც მოუხდა. 1992 წლის 3 სექტემბერს კონფლიქტში მონაწილე მხარეთა მოსკოვში ხელმოწერული დოკუმენტით აფხაზეტში შემოსული ყველა სამხედრო ფორმირების განიარაღებას, დაშლასა და გაყვანას მოითხოვდა, ეს ჩრდილოკავკასიელებსაც შეეხებოდა.

სექტემბრის ბოლოს ჩვენებიდან გამოგზავნილი ორი Ty-134A ბომბორას აერიდროშზე დაჯდა და დაახლოებით ორასამდე ბოეიგმა აფხაზეტში დატოვა, მაგრამ ჩამოტრანილი იარაღისა და საბრძოლო მასალის დიდი ნაწილი ადგილზე დარჩა.

დამოუკიდებელი ჩვენეთა რუსეთის იმპერიამში შემავალი სხვა ერებისათვის მისაბამი რომ არ გამხდარიყო, მოსკოვმა პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის წინააღმდეგ სასწრაფოდ ჩვენური ოპოზიცია შექმნა და მას სათავეში უძარ ავტურხანაივი ჩაუყენა.

ოპოზიციონერთა განკარგულებაში მალე აღმოჩნდა კარგად გაჭრთინილ-შეიარაღებული რაზმები, ტანკები მომზადებული ეკიპაჟებით, საბრძოლო შევლუმფრინავები და მოიერიშე თვითმფრინავები გამოცდილი მფრინავებით.

1994 წლის აგვისტოს პირველი რიცხვებიდან ოპოზიციონერთა რაზმე-

ბი აქტიურ საბრძოლო მოქმედებებზე გადავიდნენ.

პრეზიდენტმა დუდაევმა ოპოზიციონერებს ჩვენური არმია და ავიაცია დაუბრძოლა. ცნობილია, რომ ოპოზიციური ძალების საზენიტო საშუალებებმა 1994 წლის 21 სექტემბერს გროზნოს მახლობლად AH-2 ჩამოაგდეს და ეკიპაჟის ორივე წევრი დაიღუპა. ოპოზიციონერებთან ბრძოლაში დუდაევის ავიაციამ კიდევ ერთი თვითმფრინავი — მოიერიშე გადაკეთებული „ალბატროსი“ 4 ოქტომბერს დაკარგა.

1994 წლის 6 სექტემბერს გროზნოში გამართული ალუმის დროს ჩვენების ავიაციის ესკადრილის გამოსწავლა ერთგვარ გამოსამშვიდობებელ ფრენად დარჩა. მოსკოვი ჩვენეთთან ომისათვის მზადებაზე იყო გადასული.

ჩვენური თვითმფრინავები რუსეთის ავიაციას წინააღმდეგობას ვერ გაუწევ-

და, მაგრამ რუსეთის ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ ჩვენები მფრინავი-კამიკაძეები რუსეთის ქალაქებისათვის რეალურ და დიდ საფრთხეს შეიცავდნენ. ფედერალური უშიშროების სამსახურის მონაცემებით, დუდაევის ავიაციის დაახლოებით 100-მდე თვითმფრინავი საბრძოლო მზადდონაში იყო.

1-ელ დეკემბერს დიდი თრუსული ავიაცია მოულოდნელად თავს დაესხა აფიბაზებს „ხანკალას“ და „კალინოვსკაიას“, ხოლო დღის მერე ნახევარში კი — „გროზნი-სევერნის“. რუსმა მფრინავებმა გაანადგურეს „დელფინები“, „ალბატროსები“, სასოფლო-სამეურნეო თუ სამგზავრო თვითმფრინავები. საავიაციო ბომბებს არც პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის პირადი Ty-134A გადაურჩა. დუდაევის მრავალრიცხოვანმა ავიაციამ არსებობა ერთ დღეში შეწყვიტა.

თემურ ჩაჩანიძე

„ალბატროსის“ მთავარი ხაცეცხლე საშუალება უმართავი რაკეტული ჭურვების კონტინენრია



საზღვაო ნაღებები თავდასვის ოჯახიან საშუალებად რჩება



XIV საუკუნის ჩინური საზღვაო ნაღმის აღწერილობა

საზღვაო სამხსენების გასანადგურებლად ნაღმების გამოყენების შესახებ პირველი ცნობები დენისის სამშობლო ჩინეთთან არის დაკავშირებული. მინის დინასტიის (1368-1644 წლები) არტილერიის წამყვანმა ოფიცერმა ძაიო ოუმმა XIV საუკუნის სამხედრო ტრაქტატ „სილუნძი“ საზღვაო ნაღმებისგადარი ასაფეთქებელი საშუალება აღწერა. მინის დინასტიის მეფობისას ჩინეთის ძლიერი ფლოტი და დაახლოებით 1-მილიონიანი რეკლარული არმია ჰყავდა, სადაც დენისის მრავალმხრივი გამოყენება მოეხსენა.

XVI საუკუნის ჩინური ქრონიკები საზღვაო ნაღმებით იაპონელ მეკობრეთან ბრძოლის შესახებ მოვითხრობს. იმდროინდელი უმარტვეესი ნაღმი ფითხით ჰერმეტიზებულ, დენით სავსე ხის ყუის წარმოადგენდა და გენერალ ცი ცზიუიგუანის ბრძანებით, მეკობრეთა ხომალდების გასანადგურებლად რამდენიმე ასეთი მორტიფეე ნაღმი გაკეთდა.

1637 წლის სუტ ისინის ტრაქტატში „პოუნბერიო მიწილენების გამოყენება“ აღწერილ საზღვაო ნაღმს ნაბროთან გრძელი სადენი აკავშირებდა. მისი გამოქაჩვით ამფეთქის კაშზე წარმოქმნილ ნაპერკალს ნაღმი მოქმედებაში მოჰყავდა.

ევროპული ქვეყნებიდან საზღვაო ნაღმების გამოყენება პირველად ინგლისელმა რაღე რაბარდმა სცადა. ამის

თაობაზე მან თხოვნით 1574 წელს დედოფალ ელისაბედსაც მიმართა.

ინგლისის მეფე კარლ I-ის (1600-49 წლები) კარზე მიმუშავე პოლანდიელი კარტოგრაფი კორნელიუს დრებელი ე-წ მოცურავე ტაკაცუნების შექმნაზე მუშაობდა. არის მოსაზრება, რომ ინგლისელდება ასეთი იარაღის გამოყენება 1627 წელს ფრანგული ლა-როშელის აღეის დროს სცადეს, მაგრამ მცდელობა მარცხით დასრულდა.

სამხედრო ტექნიკის იმდროინდელ პირობებში საზღვაო ნაღმისაგან ეფექტიანი საბრძოლო საშუალების შექმნა შეუძლებელი იყო და დაინტერესებაც დროდადრო თუ იხენდა თავს.

ლა-როშელის აღეიდან დაახლოებით 150 წლის შემდეგ ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომში ამერიკელი გამომგონებელი დავით ბუშნელმა საზღვაო ნაღმებს მიუერთდა და საბრძოლო მოქმედებებში გამოყენებას შეეცადა.

ბუშნელი ბრიტანული ხომალდის დანადგარს და აფეთქების ჯერ მისივე პრიპეტტი აგებული წყალქვეშა ნავით შეეცადა, მაგრამ მარცხი განიცადა. მომდევნო წინადადება მდინარე დელაუერზე დენით დატენილი პერპეტუელი კასრების ჩაშუებას შეეხებოდა. ბუშნელის აზრით, დინება კასრებს ფელადელიის რეიდზე მდგომი ბრიტანული ხომალდებისაგან წაიღებდა და ხომალდის კორპუსზე დაჯახება აფეთქებას გამოიწვევდა, მაგრამ დინება კასრები ნაპირზე გამოიფა და დაამსხრია.

ნაღმების შექმნაზე მუშაობდა ცნობილი გამომგონებელი რობერტ ფულტონი და თავისი გამოგონების ეფექტიანობის დასამტკიცებლად 1801 წლის აგვისტოში საფრანგეთში, ბრესის მახლოზლად მაყურებელთა იზაღწინ წყალქვეშა აფეთქებით პატარა შუნა ჩაიძრა.

წარმატებული ცდის მიუხედავად, ფულტონის გამოგონებით ნაპოლეონი არ დაინტერესდა და გამომგონებელმა ბრიტანეთის მთამურა, სადაც 1805 წლის 15 ოქტომბერს ისევე წყალქვეშა აფეთქებით 300 ტონამდე წყალწვივის ბრევი Dorothea გაანადგურა.

ფულტონის ნაღმები ბრიტანეთშიც ფურადლებოდ დარჩა და გამომგონებელი ამერიკაში გაემგზავრა.

არაერთგზის მცდელობის შემდეგ საზღვაო ნაღმების პირველი რეალური შედეგები ამერიკის სამოქალაქო ომში (1861-63 წლები) გამოჩნდა. ამერიკის სამხრეთის შტატების კონფედერაციას ჩრდილოეთის შტატების ფედერაციასთან შედარებით სუსტი ფლოტი ჰყავდა და ჩამორჩენის დაძლევის შეიარაღების ახალი ნიმუშების შექმნით (ცდილობდა. ერთ-ერთი სიახლე, რომელიც სამხრეთელებმა გამოცადეს, საზღვაო ნაღმები იყო.

სანდლო ომის პირველი მსხვერპლი სკანონერო ნავი Cairo (წყალწვევა 512 ტონა) აღმოჩნდა. 1862 წლის 12 დეკემბერს მისისიპის აუზის მდინარე იაზუსზე ქალაქ ვიკსბურგის მახლოზლად ხომალდი ნაღმზე აფეთქდა და 12 წუთში ჩაიძირა. ეკიპაჟში მსხვერპლი არ იყო. ჩინძი ელექტრობით მდინარის ნაპირზე ჩაისაფურებლმა ადამიანებმა ააშოქმდეს.

ნაღმის მომდევნო მსხვერპლი მინიტორი Tecumseh-ი (წყალწვევა 1034 ტონა) იყო. 1864 წლის 5 აგვისტოს მდინარე ალაბამას შესართავთან, შობილის ყურეში მომხდარმა აფეთქებამ ხომალდი რამდენიმე წამში 93 კაციან ერთად ფსკერისკენ გაუშვა.



საზღვაო ნაღმების ერთ-ერთი ნაირსახეობა დენით დატენილი დენის კასრი იყო

ვერობაში მიმდინარე ომებში ნაღმების შესაძლებლობები პირველად გერმანელებმა 1848-50 წლების პრუსია-დანია ომში მოხსნეს და ამისათვის ღვინის კასრები გამოიყენეს, კილის ყურები ნავსადგურის მისადგომებთან 136 კილოგრამი დენით დატენილი კასრები მოქმედებდა ნაპირიდან მიწოდებული ელექტრობით გაღვანურ ბატარებს მოჰყავდა. დანიელებმა მუხღაურებმა ეს რომ გაიგეს, დაფრთხნენ და ქალაქის აერიზზე ხელი აიღეს.

1870-71 წლების პრუსია-საფრანგეთის ომში ფრანგების ძლიერი ფლოტისაგან თავდასაცავად პრუსიამ მდინარეები ოდრის, ელბისა და ვეზელის შესასვლელებში ნაღმების ღობურებით გადაკეტა. მოგვიანებით ადმირალი ტინაპიცი თავის მოგონებებში წერდა, რომ ნაღმების ღობურები უფრო მეტ საფრთხეს თავად გერმანელებს უქმნიდა. ღვინის დროს დაყენების ავგაღვიდან მოგვეჯვრილი ნაღმები რეაღვისაკენ მიექანებოდა და მუდმივ კონტროლს მოითხოვდა.

სხვა ქვეყნებთან შედარებით გერმანიაში საზღვაო ნაღმების სრულყოფიანების დიდი მუშაობა მიმდინარეობდა. გაერმანებულმა საზღვრო ინჟინერმა ჰერცოგმა მოქმედების ელექტროქიმიურ პრინციპზე დაფუძნებული ნაღმები გამოიგონა.

ჰერცის ნაღმს თავზე ტყვიის ხუთი თღვაკი ჰქონდა, რომელიც ელექტროლიტთან ამკლავდა და მშრალ გალვანურ ბატარეებს ფარავდა. ხომალდის კორპუსზე დაჯახება თღვაკის აზიანებდა, ამჟღავნებდა ტყვეობდა და ელექტროლიტით ბატარეის ელექტრუბთან რეაქციამა შედიოდა, ხოლო წარმოქმნილი ელექტრობა ელექტროფითილის ამოქმედებასა და ნაღმის საბრძოლო მუხტის — 30 კილოგრამა პიროქსიდისის აფეთქებას იწვევდა.

ჰერცის კონსტრუქციის ნაღმის სუსტი მხარე — დასაყენებელი ადგილის სტრების წინასწარი გაზომვის აუცილებლობა იყო. ამის გამო დანაღმების პროცესი მოწინააღმდეგისათვის საიდუმლოდ აღარ რჩებოდა.

საზღვაო ნაღმების სრულყოფაში ღრმა კვალი რუსმა გამოგონებლებმა დატოვეს. 1807 წელს ფინეთის ყურეში კონსტანტინის სამხედრო-საზღვაო სიმარისმახლობილად საზღვაო კაპიტანთა კორპუსის მასწავლებელმა იან ფიტცუგმა პირველი რუსული საზღვაო ნაღმი გამოიკვლია.

მდინარე ნევის ფსკერზე დაყენებულ

ნაღმს ნაპირთან ტყავში შეზგუული შერბილებული ღვინის სადენი აკავშირებდა, რომლითაც ნაპირიდან ცეცხლი ნაღმზე გადადიოდა და აფეთქებდა. არასაიმედოობამ და აფეთქების სიროულემ ფიტცუგის გამოგონება უყურადღებოდ დატოვა.

1812 წლის ოქტომბერში მეორე ნაპირიდან გამომდინარე მძევლი შილინგმა ნევაში უკონტაქტო ნაღმები გამოიკვლია, სადაც ამფეთქი მოქმედებაში ნაპირიდან მიწოდებული ელექტრობის მოჰყავდა. ამისათვის შილინგმა აბრეშუმის გაფისული იზოლაციით დაცული სპილენძის მავთული გამოიყენა. სუსტი საბრძოლო თვისებების გამო ყურადღება არც ამ გამოგონებამ დაიმსახურა.

ნაღმების ასამოქმედებელ საშუალებათა არასაიმედოობა იარაღის გამოყენებას ბევრ სირთულეს უქმნიდა. პრობლემის დაძლევაში წინსვლა 1828 წელს დაიწყო.

ადიუნტ-პროფესორმა ვლასიოვმა გოაირდმჭვით შეფხებული მინის ძლი ბერიოლეს მარილის ცილინდრში მოათავსა და მახლობლად განლაგებული ლითონის მუხტებში ნაღმის კორპუსზე გამოშვებული ღვინის დაუჭერსიარა. ღვინოებთან ხომალდის მუხტებში მუხტების გადაადგილებას იწვევდა, მინის ძლი ტყვეობდა და გოაირდმჭვას ბერიოლეს მარილიან რეაქციამა შესვლით გამოყოფილი სითბოს დენით აფეთქება მოხდებოდა.

რუსეთში საზღაო საქმისადმი მდინარე დიდი დაინტერესება გაჩნდა, რომ 1839 წელს წყალქვეშა ცდების კომიტეტი ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში რუსეთში მომუშავე გერმანელი მეცნიერი მირიც ფონ იაკობი ჩაუდგა.

მაღე რამდენიმე კონსტრუქციის გაღვანურა-გალვანურდამრტყმელი ღვინის ნაღმი, ნაღმის გაღვანური ბატარეები, ელექტროფითილი, ამფეთქება და ნაღმების მოცემულ სიღრმეზე დასაყენებელი მოწყობილობა შეიქმნა.

გალვანური ნაღმები ნაპირიდან არ ხომალდიდან ფითილზე მიწოდებული ელექტრობით ფეთქებოდა, მაგრამ გამოსაყენებლად საკმაოდ რთული იყო. მოწინააღმდეგის გემის ასაფეთქებლად საჭირო მომენტის შერჩევა უადრესად დიდ დაძაბვას, განსაკუთრებით ღამით და ცუდი ხილვადობის დროს მოითხოვდა.

1844 წელს იაკობმა გაღვანურდამრტყმელი ნაღმის პროექტი წარმოადგინა, სადაც ნაღმს ხომალდიდან დაჯახების შედეგად შერეული ელექტროჩაქვი აფეთქებდა.



იაკობის მიერ შექმნილი ნაღმი

კონუსისმაგვარი ფორმის ხის კორპუსის მქონე ნაღმის ფეთქებად მუხტი 3 კილოგრამ ღვინის არ აღმუქმებოდა, რაც საკმარისი სიძლიერის აფეთქებას არ იძლეოდა. ამიტომ მომდევნო კონსტრუქციამა ღვინის რაოდენობა ჯერ 14 კილოგრამამდე შემდეგ კი — 24 კილოგრამამდე გაიზარდა. ღვინის მოვალეობას თუჯის ღვუკვი ან ქვა, ხოლო მინერებისა კი — ქვერულის თოკი ასრულებდა.

მაშინ ნაღმებს „ჯოჯოხეთის მანქანას“ ეძახდნენ და თაყვანით საშუალებას წარმოადგენდა, რომელსაც პორტების, საზღვაო სიმაგრეებისა და სანაპიროს დასაცავად იყენებდნენ.

1854-55 წლებში, ყირიმის ომის დროს, ბალტიის ზღვაში კონსტანტინის რეველის, სევასტოპოლისა თუ სხვა სიმაგრეების მისადგომთა ინგლის-საფრანგეთის ფლოტისაგან დასაცავად რუსმა მუხღაურებმა 1865 სხვადასხვა კონსტრუქციის ნაღმი გამოიყენეს.

1855 წლის ფინის ბრძოლაში რიცხვებში მოკუმშირეთა ესკადრა ფრანგი ადმირალ ჰერის მეთაურობით ბალტიის ზღვაში უკუმულ კონტლინის სახლობლად გამოიწვია.

სარდალი ბრიტანულ ორთქლით-ფრეატულ Merlin-ზე (წყალქვეშა 889 ტონა და 4 ზარბაზანი) იმყოფებოდა. მას მთავიდან მანარავლი რეაქტიული მავალი-კორეტი D'Assas-ის (წყალქვეშა 1945 ტონა) და ბრიტანული ორთქლით-

ლები Vulture (წყალწყვა 1960 ტონა და 6 ზარბაზანი) და Firefly.

სანაპიროდან 2,5 მილში Merlin-ი ნაღმს გამოედო, აფეთქდა და მცირე დაზიანებები მიიღო, რაც მოკავშირეთა ესკადრის უკან გაბრუნებისათვის საკმარისი გამოდგა.

ვირჯის ომში რუსმა მეზღვაურებმა ბალტიისა და შვედეთში სულ 2558 გაღვანური და გაღვანურდამრტყმელი ნაღმი გამოიყენეს. მოკავშირეებს უმნიშვნელო ზარალი მიაღდა, გაცილებით თავზარდაცემი იყო შიში, რასაც მოულოდნელი წყალქვეშა აფეთქება იწვევდა.

სანაღმო საქმის წინსვლისათვის 1874 წლის მაისში პეტერბურგში მენაღმე ოფიცერთა მოსამზადებელი კლასი და

ამერიკის სამოქალაქო ომი —
მონიტორ Tecumseh-ის აფეთქება



რუსი მეზღვაურები ნაღმის დაყენებაში ვარჯიშობენ



რიგითი მეზღვაურებისათვის — მენაღმეთა სკოლა გაიხსნა. აქ საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიდნენ. ბალტიის ფლოტის შემადგენლობაში სანაღმო გემების რაზმი ჩამოყალიბდა.

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის წინ თურქებს დუნაიზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი ფლოტილია ჰყავდათ. აღმირალ მეჰმედ არიფ ფაშას განკარგულებაში იყო 8 მონიტორ-საკანონიერო ნაუი, 1 შუიარადღებული ააზტა, 3 შუიარადღებული გემი, 1 სატრანსპორტო გემი, 3 ბუქსირი და 20 დამხმარე გემი.

თურქულ ფლოტილიასთან საბრძოლველად რუსებს სანაპირო მძიმე არტილერიასთან ერთად ბუქსირებადი ნაღმებისა და ბუქსირიებადი ნაღმების გამოყენება შეეძლოთ.

ომის დაწყებამდე ქალაქ ბენდერში რუსებმა 750 ნაღმი და 36 ტონა ფეთქებადი მასალა შეიტანეს. მათ შორის იყო ჰერცის კონსტრუქციის 300 გაღვანური ნაღმი, რომელსაც მოითხოვებელი რკინის კორპუსი და მსხლისებური ფორმა ჰქონდა.

მდინარე დუნაის დანაღმე არმიულ მესანგრეებსა და მეზღვაურებს ერთობლივად დაეცალათ ომის დაწყებამდე ორი დღით ადრე. 1877 წლის 10 აპრილს, რომინელი გლჟების ტრანსკემლომ გადაცემულმა 30 რუსმა მენაღმე ლეიტენანტ პეტრეოვისა და პორუჩეი მაქსო-

მოეჩის მეთაურობით დუნაიზე ნაღმების დაყენება დაიწყო, რაც არცთუ იოლი საქმე გამოდგა. მდინარის დინება პირველი ხუთი ნაღმი გაიტაცა.

12 აპრილიდან დანაღმე უფრო ინტენსიური გახდა, მაგრამ ნაღმების ნაკლებობა იყო. რუსებისთვის ხელის შემშლას თურქები მაინცდამაინც არც ცდილობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მათ ცხვირწინ ხდებოდა.

თავდასაცავად რუსებმა პორტების — ოდესის, სეფასტოპოლისა და ოზაკოს მისასვლელიც დაანაღმეს.

1877 წლის 27 სექტემბერს სულთანს ტოტში თურქული ორთქლქაბალი Kartal-ი და საკანონიერო ნაუი Sunna (წყალწყვა 200 ტონა, 4 ზარბაზანი) რუსული ხომალდების ცეცხლქვეშ მოექცა. Kartal-მა სულანასაკენ დახევა მოახერხა, ხოლო Sunna მანევრირებისას ნაღმს გამოედო, აფეთქდა და 27 მეზღვაურთან ერთად ჩაიძირა.

თაღი მზა **თაღის გაღვანერგვის კლინიკა**

თაღის აღვანერგვის მონაგვრის სანაღმურების სარეაბილიტაციის -ISHRS- ოფისი

თაღის აღვანერგვის პროცედურა 2-3 საათში ურთხვენილოდ

თაღის აღვანერგვის პროცედურა რა არე გეგმა, პროცედურის ურთხვენილი აღვანერგვა

თაღის აღვანერგვის პროცედურის მ. № 27 ოფისი : 25-37-39; 37-50-89

www.talizi.ge www.talizi.net www.talizi.com

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში კიდევ უფრო მეტი ეფექტი ტორპედოების წინამორბედ ბუქსირებად ჭოკნაღმებს ჰქონდა, რაც სანადღო ომის დიდ შესაძლებლობებზე მაინც შენდდა, მაგრამ იყო ტექნიკური სახის სირთულეები: ნაღმების დაყენება მოითხოვდა სიღრმის გაზომვას, თითოეული ნაღმისათვის მინრების შესაბამის ზომაზე დაყენებასა და ნაღმზე გადაბმას, ნაღმის ღუსისა და ბოლოს, ნაღმის ჩადგობას. ყველა ეს ოპერაცია ხელით სრულდებოდა და შრომატევადი იყო.

საჭირო იყო პროცესის ავტომატიზაცია და ეს პრობლემა 1882 წელს რუსეთის ფლოტის ლეიტენანტმა ფაროგმა წარმატებით გადაჭრა. ნაღმის ღუსეზე მოთავსებული სპეციალური მანქანებისათვის ნაღმს მოცემულ სიღრმეზე ავტომატურად აჩერებდა. გარდა ამისა, ნაღმებს საბრძოლო მდგომარეობაში ავტონომიურად გადაყვანის საშუალება დამატა, რითაც შესაბამისი სანაპირო სადგურების არსებობამ აზრი დაკარგა.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთ-იაპონიის ომი საზღვაო ნაღმების გამოყენების მასშტაბურობით გამოირჩეოდა და ორივე მხარემ დიდი დანაკარგი განიცადა.

პორტ-არტურში ბლოკირებული რუსული ხომალდების ზევაში გახლეჩის აღსაკეცთად სხვადასხვა დროს იაპონელებმა პორტის გასასველებთან 1300 ნაღმი დააყენეს.

იაპონიის ფლოტის სარდლის ვიცე-ადმირალ ტოგოს გეგმის თანახმად დანაშაულმა ფარულად მიმდინარეობდა იმ იმედით, რომ იაპონური ხომალდების გამოჩენას რუსული ხომალდების გამოხედა და ახალდანილ რაიონში შეტევა მოეგვიზოდა. ამ გეგმამ ერთხელ გამართლა და თან ისე, რომ ამის შემდეგ რუსების ომის მოგების იმედი გადაეწურათ.

1904 წლის 31 მარტს საესკადრო ჯაფშოსონი „პეტროპავლოვსკი“ (წყალწვევა 11354 ტონა) წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალთან, ვიცე-ადმირალ სტეპან მაკაროვთან ერთად პორტ-არტურიდან იაპონურ ხომალდებთან საბრძოლველად გავიდა და ახალდაყენებულ ნაღმზე აფეთქდა. ჯაფშოსონი ორ წუთში ჩაიძირა. 670-მდე დაღუპულ მესხვეურს შორის იყო იმდროინდელი რუსეთის ფლოტის ყველაზე გამოცდილი სარდალი, ადმირალი სტეპან მაკაროვი.

ვალში არც რუსები დარჩნენ და პორტ-არტურის მახლობლად იაპონური



საზღვაო ნაღმი ისევ რჩება ეფექტიან საშუალებად

ნური ხომალდების გადაადგილების შესაძლო მიმართულებები დანადგეს.

1904 წლის 1-ელ მაისს ნაღმგადამლობმა „ამურმა“ ნისლიან ამინდში ფარულად პორტ-არტურთან 12,5 კაბელტოვზე 50 ნაღმი ერთ ზაზად დააყენა. მეორე დღესვე ნაღმზე იაპონელთა საესკადრო ჯაფშოსონი Hatsuse (წყალწვევა 15255 ტონა) აფეთქდა, ხომალდთან ერთად 496 კაცი დაიღუპა. მეორე ნაღმმა საესკადრო ჯაფშოსონი Yashima (წყალწვევა 12320 ტონა) მძიმედ დააზიანა და კორეისა, ბუქსირების დროს ხომალდი ჩაიძირა. Yashima-ზე მსხვერპლი დაახლოებით 200 კაცი იყო.


ამ დანაკარგმა იაპონელ სამხედროებზე ისე იმოქმედა, რომ ხომალდების დაღუპვის აშკარა მოსახლეობა დაუძალეს და მხოლოდ მოკვიანებით გაუმქდუნეს.

საზღვაო ომში ნაღმებისაგან ორივე მხარემ დაახლოებით ერთნაირი დანაკარგი განიცადა. რუსეთის ფლოტს 14 საბრძოლო ხომალდი გამოაკლდა და ცხრამ მძიმე დაზიანებები მიიღო, ხოლო იაპონელებმა 12 საბრძოლო ხომალდი დაკარგეს, 8 კი მძიმედ დაზიანდა.

თეშურ ჩარხნიძე

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

საზღვაო ნაღმების პირველი მსხვერპლი საკანონერო ნავი Cairo



ქართული ენციკლოპედია

თარაზულაძე: 5. „კოლხის“ მიღწეული; 6. ნორვეგიული პისტოლეტი; 7. ქალაქის მიწისქვეშა ელექტროკაბინა; 11. მრგვალწერა ხნავალი; 12. იტალიური რევილვერი; 13. მსუბუქი ტანკსაწინააღმდეგო ქვეშები; 14. მდინარე საქართველოში; 16. ესპანური რევილვერი; 17. ისრაელის 81 მმ-იანი ნაღმტყორცნი; 18. ამერიკული სამხედრო ჟურნალი; 20. ინდიელი ტომი; 22. ჯარის რეული ნაწილი; 24. ქალაქი აშშ-ში, სადაც უნელი მოკლეს; 26. ამერიკული ავტომობილი; 28. მტაცე-

ბული ფრინველი; 29. არგენტინული პისტოლეტი; 30. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია.
შვილაძე: 1. ძველებური გრძელტარანი ბასწერა იარაღი; 2. ამერიკული პისტოლეტ-ტყვიამურევეი; 3. „ადა თუ თამზიას“ პერსონაჟი; 4. ამერიკული რევილვერი; 7. თურქი და კავკასიელი ტყვიამონებისგან შემდგარი სულთნის პირადი გვარდის ჯარისკაცი ძველ ევროპეში; 8. ჩეხური ავტომობილი; 9. დღევნადრული ფრანგი ფეხბურთელი, უეფას პრეზიდენტი;

10. ცხელიხანი ჯარი; 11. სამხედრო ნაწილების საცხოვრებელი შენობა; 13. ყველაზე ძვირი და სწრაფი ავტომობილი მსოფლიოში; 15. ცივი იარაღი; 19. ნორვეგიული მოგზაურის თურქული შენობის ერთ-ერთი ტიპი; 20. მონარქი; 21. ქვეყანა ევროპაში, რომელსაც არ გააჩნია არმა; 22. ამერიკული სტრატეგიული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი; 23. ქვეყანა ევროპაში; 125. ამერიკელი განგსტერი ... კაპონი; 26. ძველებური სასროლი ან საჩხელეტი გრძელი იარაღი; 27. შინაური ცხოველი.

ურნაღის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალორის“ პასუხები: **თარაზულაძე:** 5. მონდრაგონი; 6. კონგსბერგი; 7. ნაივარა; 8. ფონტრენატი; 12. უნა; 14. დაკოტა; 16. დანადა; 17. მატოკო; 18. რაპიდი; 19. ნერონი; 20. აბო; 22. ნეი; 23. კუკარანა; 25. გასტანავა; 27. მათირი; 28. ხიდი. **შვილაძე:** 1. კოლონია; 2. ადიგენი; 3. ზამბია; 4. უნავირა; 8. განეპიტერი; 9. ფელდმარშალი; 10. ტიტო; 11. ესკადრილია; 12. ეულსმენი; 13. ტრატორია; 15. კლუბტორატა; 21. გირანდი; 22. ნაალმი; 24. კატერი; 26. მძა.



მკაფრსიუჟიანი ფილმების გიური — სწრაფსროლელი Ingram

ჯიის ბონდი ემ კოვიაჟური პისტოლმ- ტყვიამფრეკვიით მუსრს ავლმლა „კალაშნიკოვიან“ „სულ ბიჭვს“



პისტოლმტ-ტყვიამფრეკვი ხშირად ასოცირდება ებრალ UZI-სთან, თუმცა თვის დროზე არანაკლებ პოპულარული იყო ამერიკული კომპაქტური პისტოლმტ-ტყვიამფრეკვი Ingram-ი.

ისევე, როგორც „უზის“, Ingram-საც სახელი კონსტრუქტორის, გორდონ აინგრემის პატივსაცემად ჟოდა.

ამ კონსტრუქტორმა პისტოლმტ-ტყვიამფრეკვიების შექმნა 40-იანი წლების ბოლოს დაიწყო და მათგან ერთ-ერთი — Ingram Model6 სერიულად კი იწარმოებოდა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში გორდონ აინგრემმა კომპაქტური პისტოლმტ-ტყვიამფრეკვის კონსტრუირება დაიწყო, რომლის ტარება მალეულად ქურთუკის ქვეშაც შეიძლებოდა.

ახალ პისტოლმტ-ტყვიამფრეკვს Ingram Model10 ჟოდა და იგი ორ ვარიანტად იწარმოებოდა. პირველი ვარიანტი გათვლილი იყო ამერიკელებისთვის ასე საყვარელ .45ACP (11,43 მმ) კალიბრზე, მეორე კი მასობრივად გავრცელებულ 9X19 მმ Luger-ზე.

მოგვიანებით სერიაში ჩაუშვეს კიდევ ერთი კალიბრზე — 9X17 მმ Browning Short-ის ვაზნებზე გათვლილი დამოკლებულულიანი პისტოლმტ-ტყვიამფრეკვი.

საზოგადოდ, ეს კალიბრი გამოიყენება პისტოლმტებში, მაგრამ პისტოლმტ-ტყვიამფრეკვებში თითქმის არა. პისტოლმტ-ტყვიამფრეკვიების (რომელსაც სახელად Model11 ჟოდა) ეს მოდელი, რომელიც სუსტ ვაზნებზე იყო გათ-

ვლილი, კონსტრუქტორმა თვითმფრინავების საღონებსა და ხალხით საცხე ოთახებში ანტიტერორისტული ოპერაციების ჩახატარებლად შექმნა მაშინ, როდესაც 9X19 მმ-ზე და, მით უმეტეს, .45ACP-ზე უფრო სუსტი ენერჯის მქონე ტყვიებს შეიძლება უფრო ნაკლები დაზიანება მიეყენებინა თვითმფრინავის პერმეტული საღონისთვის.

ვევლახე პოპულარობით მაინც მძლავრ .45ACP ტიპის ვაზნებზე გათვლილი Ingram M10 სარგებლობდა, რის დასტურადაც იქცა ამ პისტოლმტ-ტყვიამფრეკვის პოლიუდის „კინოშირად“ გადაქცევა.

70-90-იანი წლების პოლიუდის არც ერთი მძაფრსუფრეტიანი მხატვრული ფილმი ისე არ ჩაივლიდა, რომ In-



Ingram-ი მეტალის დასაკეცი კონდახით, ზის კონდახით და ნინა ხელის მოსაკეციო



გორდონ აინგრემის
პირველი სერიული
პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი
Ingram M6

gram-ის ცეცხლის აღი არ „გადმოეფრქვია“, თანაც ძირითადად, რატომღაც სულ „ცუდი ბიჭების“ ხელიდან.

თუმცა ერთხელ შეუდარებელი აგენტის 007 — ჯეიმს ბონდიც (პირს ბროსნანის შესრულებით) იგერიებდა სწრაფმსროლელ Ingram-ით „კალაშნიკოვებით“ შეიარაღებულ „ცუდ ბიჭებს“.

სწორედ სწრაფი სროლა იქცა Ingram-ის მთავარ განმასხვავებელ და ამასთან უარყოფით მხარედ.

თავად წარმოიდგინეთ, Ingram-ი 11,43 მმ კალიბრის ტყვიებს ავტომატური ჯერით წუთში 1145-ს ისერის (თორაუ-ლაღ), 9X19 მმ Luger-ის ვაზნების შემთხ-



Ingram M11 9X17
Browning Short-ის ვაზნებზე



Ingram M10 .45ACP-ს ვაზნებზე

ვეში სწრაფსროლის ტემპი 1090 გასროლა/წუთშია, ხოლო ბრაუნინგის 9X17 მმ ვაზნების დროს კი სწრაფი სროლის ტემპი საერთოდ ფანტასტიკურ — 1200 გასროლა/წუთში შეადგენს.

შედარებისთვის: 9 მმ-იანი UZI-ის სროლის ტემპი მხოლოდ 600 გასროლა/წუთში შეადგენს, ხოლო გერმანული MP5-ისა კი 800 გასროლა/წუთში.

სამაგიეროდ, როგორც კი ჩვეულებრივ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს უმოკლებენ ლულას და ისინი კომპაქტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების კლასში გადაჰყავთ, მაშინვე კატასტროფულად იზრდება სროლის ტემპი. მაგალითად, დამოკლებულლულიანი MP5K-ს სროლის ტემპი 900-მდე იმატებს, Mini-UZI-ისა 950-მდე, ხოლო Micro-UZI-სა კი რეკორდზე გადის — 1250 გასროლა/წუთში.

სროლის ასეთი მაღალი ტემპი გამოთვლებულია იმ კომპაქტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებისთვის, რომელი-



**Ingram-ი და მაყურით
 სპეციალურ ჩანთაში**

ჩვენი დონი: Ingram M10
 იწარმოებოდა .45ACP (11,43 მმ) და 9X19 Luger ტიპის ვაზნებზე გათვლილი ლულებით.
 დაკეცილი კონდახით მათი სიგრძე 269 მმ-ია, გაშლილით კი 548 მმ-მდე აღწევს. ლულის სიგრძე 146 მმ-ს შეადგენს. სწრაფსროლა, შესაბამისად, 1145 და 1090 გასროლა/წუთში. მჭიდში ჩადის .45ACP ტიპის 30 ან 9X19 ტიპის 32 ვაზნა. მასა ვაზნების გარეშე 2,84 კგ-ია.
Ingram M11 მცირე სიმძლავრის 9X17 Browning Short-ის ტიპის ვაზნაზეა გათვლილი. მჭიდებში 16 ან 32 ასეთი ვაზნა ჩადის. ვაზნების გარეშე ის 1,59 კგ-ს იწონის.
 დაკეცილი კონდახით სიგრძე 222 მმ-ს (გაშლილით 460 მმ), ლულის სიგრძე კი 129 მმ-ს უტოლდება.



**ამას კომპაქტური
 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი
 ნამდვილიად აღარ ეთქმის**

აც მალულად ატარებენ და სწრაფი გამოყენება საჭირო ახლო მანძილზე. ამიტომაც მოკლეულისანი და მაღალი სროლის ტემპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს და მათ შორის In-

gram-ის სროლის ეფექტური მანძილი პისტოლეტისას არცთუ ძალიან აღემატება.
 ოფიციალური მონაცემებით, 11,43 და 9 მმ კალიბრზე გათვლილი Ingram

M10-ის სროლის ეფექტური მანძილი 50-70 მ-ია, ხოლო 9X17 „კრაუნინგის“ ვაზნისმჭვიდანი Ingram M11-ისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 30-50 მ-ს შეადგენს.

**პლაჟზე გასიერნება
 სროლის თანხლებით**



რეალურად კი მზანში ზუსტად სროლის მანძილი ავტომატურ რეჟიმში კიდევ უფრო ნაკლებია.

Ingram-ის მსგავსი კომპაქტური სწრაფსროლელი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებით სარბიო დანაყოფების მასობრივად შეარაღება, გაუმართლებელი იქნებოდა. ეს იარაღი მხოლოდ სპეციალური ამოცანების შესრულების დროს შეიძლება გამოიყენოს სპეცრაზმ-მა და ისიც მხოლოდ პროფესიონალმა მსროლელმა, რადგან სროლის ასეთი მაღალი ტემპის დროს იარაღის მართვა საკმაოდ ძნელია.

ირაკლი ალადაშვილი

1-30

6148/13



Ingram M10

© INGRAM
MODEL 50
MADE IN U.S.A.



36163711